ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

სამშაბათი, 2 მაისი, 2017 №102 (7337) ფასი: 50 თეთრი

დიმიტრი შაშკინი: „ძალლებივით დარბიან სამეზობლოში და შარდავენ, ტერიტორიას ნიშნავენ“

გვ.4

2 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ირაკლი მამალაძე: „ეს იქნება ყველაზე დიდი სკანდალი, მამა გიორგი მამალაძე დამკვეთებს თუ დაასახელებს“

გვ.7

პროკურატურამ მეუფე დიმიტრის გაუთქმელობაზე მოაწერინა ხელი

ლევან მურუსიძე: „მოსამართლეს რომ ნაძირალას უწოდებ, ეს გამოხატვის თავისუფლებაში ჯდება?!“

გვ.2

„ჩემს უვადოდ დანიშვნაზე საუბარი არ მიდის“

„დღეს კონკურსი აქვთ გამოცხადებული, ვინ მეტ უარყოფით შეფასებას მისცემს მართლმსაჯულების სისტემას“

ირაკლი კობახიძე: „პროპორციული არჩევნები სამართლიანს არ ნიშნავს“



გვ.3

გვ.3

შალვა შავგულიძე: „პლებისციტის იდეას ვუერთდებით“

საწვავის ხარჯვაში ირაკლი კობახიძე ლიდერობს

ხელისუფლების და ოპოზიციის 5-მა დეპუტატმა ეკვატორს ორჯერ შემოუარა

გვ.4

რითი გამოიჩინეს თავი ტრიპოლსკიმ და გოგორიშვილმა

რა ულტიმატუმი წაუყენა რუსეთმა საქართველოს

გვ.5

ვახტანგ მაისაია: „აფხაზეთის რკინიგზის გახსნა ამერიკას არ გაუხარდება“

გვ.3

თამარ ჩხეიძე: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრემიერი, როცა გადაწყვეტილებებს ივანიშვილი იღებს?“

„საზოგადოების პასიურობა ეკოლოგიის დანგრევასა და რუსი ოკუპანტების ქმედებებზე გამაოგნებელია“

საქართველოს ავტომაგისტრალებსა და მუნიციპალურ გზებზე 1.000-მდე კამერა დამონტაჟდება

გვ.5

ISSN 1987-9385

ლევან მურუსიძე: „მოსამართლეს რომ ნაძირალას უწოდებ, ეს გამოხატვის თავისუფლებაში ჯდება?!“

ნონა ცაბაძე

„ჩემს უვადოდ დანიშვნაზე საუბარი არ მიდის“

„ახალი თაობის“ კითხვებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი **ლევან მურუსიძე** პასუხობს.

– ბატონო ლევან, ბევრი თემა დაგროვდა და ყოველდღიურად ვისმენთ კრიტიკას იუსტიციის საბჭოს მისამართით. ვიდრე თქვენი უვადო დანიშვნა-არდანიშვნაზე ვისაუბრებდეთ, მოდით, თქვენს ინიციატივას შევეხოთ, რომელმაც ასე აღაშფოთა საზოგადოება. ცენზურის დაწესებას გვიპირებთ?

– თქვენ ალბათ საუბარი გაქვთ მოსამართლეების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით გამოთქმულ ინიციატივაზე. მე მიმაჩნია, რომ ზოგადად, მხოლოდ მოსამართლეებისთვის არა, მთლიანად საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მართლმსაჯულების პრესტიჟი და მისი ავტორიტეტი არ იყოს შელახული.

– ბევრმა ისე გაიგო, რომ ამის გამო გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავთ. ასეა?

– რა თქმა უნდა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოხატვის თავისუფლება იყოს დაცული. ამიტომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწოდება იყო ის, რომ თუ ექნებოდათ სურვილი იმ ადამიანებს, ვინც ჩართულია სასამართლო სისტემის რეფორმის საკითხებში, ვისაც ზოგადად აინტერესებს ეს თემა, ეს არასამთავრობო ორგანიზაცია იქნება თუ მასმედია, ყოფილიყო შეკრება ამასთან დაკავშირებით და გვემსჯელა.

– რის შესახებ?

– იმის, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა აუცილებელია, მაგრამ დაგვეცვა სისტემა უსაფუძვლო ლანძღვისგან და მოგვეძებნა ისეთი მექანიზმები, რომლებიც დაიცავდა სასამართლოს პრესტიჟს და ავტორიტეტს და არა, ვთქვათ, კონკრეტულად მოსამართლის, როგორც ეს იყო გაჟღერებული.

–კონკრეტულად მოსამართლეებზე არ ყოფილა საუბარი?

– მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან ღრმა საკითხი. შეიძლება მოსამართლეს მიაყენო შეურაცხყოფა და მან სარჩელით მიმართოს სასამართლოს, რომელიც ალბათ ერთი წლის ვადაში გაიწელება. მუდმივად არასწორი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის და პირდაპირ ლანძღვა-გინების ტირაჟირება, ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს.

– რეალურად რას სთავაზობდით დაინტერესებულ პირებს, რა სახის შეზღუდვებზე იყო საუბარი?

– ჩვენ არანაირ შეზღუდვებს არ ვაწესებთ. ჩვენ დაინტერესებულ პირებს ვთავაზობდით, რომ მრგვალი მაგიდა შეკრებილიყო და გვესაუბრა აღნიშნულ საკითხებზე. ამ ყველაფერს რატომღაც მისცეს სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომ ჩვენ ვითხოვთ ვიღაცის დასჯას, ვზღუდავთ გამოხატვის თავისუფლებას, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს.

მეტსაც გეტყვით, რეალურად ეს იყო ისეთი ისტერიკა, რომ გაკვირვებულიც კი დავრჩი, რატომ მოხდა ასე და ეს ხომ არ იყო ხელოვნური ხასიათის. გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფლება მაქსიმალურად გარანტირებული უნდა იყოს, მაგრამ არსებობს სხვა ფასეულობებიც და რადგან მე იუსტიციის საბჭოს მდივანი ვარ, ჩემთვის დიდი ფასეულობაა მართლმსაჯულების ავტორიტეტი და მისი პატივისცემა. სწორედ ამისთვის ვთავაზობდით შეკრებას და ამ თემებზე საუბარს. თუმცა როგორი გამოხმაურება მოჰყვა ამას, ყველამ ვნახეთ.

– ეს იდეა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეკუთვნოდა და რჩება ძალაში თქვენი წინადადება?

– რასაკვირველია, რჩება. თუ აქვთ ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის სახალხო დამცველს, ტელევიზიებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ჩვენ ყველას მივმართეთ, რომ გვემსჯელა ამ თემასთან დაკავშირებით. სანქციები დღესაც არსებობს, როდესაც მოსამართლეს შეურაცხყოფას მიაყენებ სასამართლო სხდომის დარბაზში, ამაზე სანქციები არსებობს. ჩვენ გვინდოდა, რომ გვესაუბრა ამ ყველაფერზე.

– და როგორი სახე უნდა მისცემოდა ამას?

– არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც სანქციების გამკაცრება მომხდარიყო. ჩვენ გვინდოდა, რომ ამ თემაზე თავად მასმედიასთანაც გვესაუბრა. დავუშვათ, როდესაც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, მათ შორის ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით, როდესაც მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, არ შეიძლება ტელევიზიას ინტერაქტივი გამოჰქონდეს.

„დღეს კონკურსი აქვთ გამოცხადებული, ვინ მეტ უარყოფით შეფასებას მისცემს მართლმსაჯულების სისტემას“

– ჰქონდა მსგავს შემთხვევას ადგილი?

– ეს გააკეთა ერთ-ერთმა ტელევიზიამ, აღარ დავასახელებ, რომელმა. გადაცემის მსვლელობისას ინტერაქტივი გამოიტანა: – როგორ ფიქრობთ, მოცემული პიროვნება არის დამნაშავე თუ არ არის დამნაშავე? მე მინდოდა ამეხსნა მათთვის, რომ როდესაც მიმდინარეობს სასამართლო სხდომა და როდესაც საქმეს იხილავენ ნაფიცი მსაჯულები, არ შეიძლება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. ეს პროცესს დააზიანებს. ნაფიც მსაჯულებზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოახდენს და ეს შესაძლოა მათ გადაწყვეტილებაზე აისახოს, ვერდიქტი იყოს არასწორი.

მსგავს საკითხებზე გვინდოდა საუბარი. ეს კი არაფრით არ გულისხმობს იმას, რომ ვინმეს სარედაქციო პოლიტიკაში ვერევით ან სანქციებს ვაწესებთ. როდესაც არ იცი, მაშინ უნდა აგიხსნან, სად მთავრდება გამოხატვის თავისუფლება და სად იწყება ლანძღვა-გინება. მხოლოდ ლანძღვა-გინება ისმის, დადებით ტენდენციებზე კი არავინ საუბრობს, რაც სასამართლოში ხდება. ძალიან არაჯანსაღი მიდგომებია ამ მხრივ. არავინ არაფერს არ ზღუდავს.

– თქვენი ინიციატივებით არ შეიზღუდება გამოხატვის თავისუფლება?

– როგორ უნდა შევზღუდოთ? ჩვენ საამისოდ რა ბერკეტები გვაქვს? ჩვენ ახსნა-განმარტების გაკეთება გვინდოდა როგორც ჟურნალისტების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მათ შორის სახალხო დამცველისთვისაც. რა საჭირო იყო ამხელა აჟიოტაჟის ატეხა.

– მაშინ რატომ მიეცა ამას ასეთი ინტერპრეტაცია?

– დღეს კონკურსი აქვთ გამოცხადებული, ვინ მეტ უარყოფით შეფასებას მისცემს მართლმსაჯულების სისტემას. ხოლო როდესაც კარგი ამბის გასაშუქებლად ვეძახით ამ ხალხს, მაშინ ვაწყდებით კედელს! ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ ქვეყანაში არავის სურს, კარგი თქვას, ან გააშუქოს მართლმსაჯულების სისტემაზე.

ყოველთვის მეძახიან ისეთ გადაცემებში, სადაც უნდა მოხდეს დაპირისპირება და ლანძღვა-გინება. უდიდესი კონფერენცია ჩატარდა, რომელი ქვეყნიდან არ იყვნენ ჩამოსულები, დადებითი შეფასებები გაკეთდა. ჩვენთან კი ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა.

მაინცდამაინც სკანდალი და დაპირისპირება. ეს სასამართლო სისტემა მარტო ამ მოსამართლეების ხომ არ არის? ეს მთლიანად ჩვენი საზოგადოების ინტერესის სფერო უნდა იყოს. უამრავი გამამართლებელი განაჩენი გამოდის.

დღეს მოდაშია სასამართლო სისტემის ლანძღვა. სასამართლო სისტემის პრესტიჟი ყველა ჩვენგანის საზრუნავია, ეს მარტო მურუსიძის საზრუნავი არ არის!

– დღეს საგრძნობლად არის შელახული სასამართლო სისტემის იმიჯი, ეს რამ განაპირობა?

– ეს არის ან მიზანმიმართული ბოროტება, ან აბსოლუტური არაკომპეტენტურობა. არ ვიცი, რასთან გვაქვს საქმე, ზუსტად ამიტომ მინდოდა ამ შეხვედრის მოწყობა. დღევანდელი სასამართლო, 8-9 წლის წინანდელ სასამართლოსთან შედარებით, იმდენად დამოუკიდებელია, რომ ვერც აღგიწერთ.

– იმ დროს ვერავინ ბედავდა სასამართლოს გალანძღვას.

– მეც მაგის თქმა მინდა, ასეთი ლანძღვა-გინება მაშინ არ ხდებოდა. დღეს რა ხდება? ეს რა დაგვემართა?! რა არის ამის მიზეზი?! დღეს ისეთი ფონი იქმნება საზოგადოებაში, რომ თუ მოიძებნა ადამიანი, რომელიც სასამართლო სისტემას მხარს დაუჭერს, ის მოკვეთილად ითვლება. ამიტომ ამ ლანძღვა-გინების ფონზე ვერავინ ბედავს, რომ გამოვიდეს და სასამართლოზე რაიმე პოზიტიური თქვას.

რატომღაც სასამართლოს გინება პრესტიჟულად იქცა, მაშინ, როცა უცხოელი კოლეგები ჩვენს სასამართლო სისტემას დადებით შეფასებას აძლევენ. ჩვენთან ეს არ უნდათ და ჩვენ მაინც ვეცდებით სასამართლოს დაცვას.

– როგორ, რას აპირებთ? თუ აპირებთ პარლამენტში კანონპროექტის ინიცირებას? ელოდებით უმრავლესობისგან მხარდაჭერას?

– ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, მაგრამ ის, რომ მოსამართლემ გააკეთოს იმ საკითხის ინიცირება, რომლის აღმსრულებელიც მერე თვითონ უნდა იყოს, ეს ასე ვერ ხდება, არ არის სწორი.

ინიცირება შეიძლება გააკეთოს იუსტიციის სამინისტრომ, შეიძლება გააკეთოს დეპუტატმა. ჩვენ გვინდა საზოგადოებრივი აზრის მომწიფება, აზრთა თანხვედრა. ზოგადად ადამიანს იჭერს ორი რამ – ან სანქცია, ან სინდის-ნამუსი და მორალი! ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რაღაც თემაა გამოსასწორებელი და ან მორალმა უნდა დაგვიჭიროს...

– ან სანქციამ?

– ან რაღაც სანქციამ. მოსამართლეს რომ ნაძირალას უწოდებ, ეს გამოხატვის თავისუფლებაში ჯდება?! მაშინ ნუღარ უწოდებ მოსამართლეს და პირდაპირ ბატონო ნაძირალათი მიმართე!

– თქვენ წინა წლების სასამართლოს შეადარეთ ახლანდელი სასამართლო. რა იგულისხმეთ – მაშინ შიშით ხმას ვერავინ იღებდა და დღეს არავის ეშინია და ამიტომ მიდის ლანძღვა-გინება?

– არ ვიცი, რა ხდება, მე არ მაქვს ამისი რეცეპტი. მოსამართლეზე შეიძლება თქვა, არაკომპეტენტურიაო, ისევე, როგორც სხვა პროფესიის ადამიანზე, მაგრამ მას ყოველდღე გაყიდული ეძახო, თანაც პოლიტიკოსმა, ეს არ არის სწორი. ამიტომ ან შეგნება უნდა ამაღლდეს, ან სანქცია უნდა იყოს.

დღეს რომ არის სასამართლო დამოუკიდებელი, ასეთი არ ყოფილა არასოდეს და ასეთი კრიტიკა არასოდეს მახსოვს. გული დამწყდა, როდესაც სახალხო დამცველი გამოვიდა და განაცხადა, ეს ინიციატივა არასერიოზულიაო. სახალხო დამცველის ათეულობით წინადადება შემოდის ჩვენთან, იქიდან აბსოლუტურ უმრავლესობას ჩვენ არ ვაკმაყოფილებთ, მაგრამ მე არასოდეს მიკადრებია, რომ მისი წინადადებებისთვის არასერიოზული მეწოდებინა. სახალხო დამცველს რომ შევხვდები, ვეტყვი, რომ ერთმანეთის მიმართ ურთიერთპატივისცემა გამოვხატოთ.

– თქვენი უვადო ვადით დანიშვნასაც ბევრი აპროტესტებს, საუბარია, რომ გამოსაცდელი 3-წლიანი ვადა არ ამოწურულა და საუბარია უვადოდ დანიშვნაზე სააპელაცო სასამართლოში. რას იტყვით ამის თაობაზე?

– გულწრფელად გეტყვით, რომ ეს თემა არის აგორებული. რამდენიმე თვის წინ პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თუ იყო ადამიანი და მუშაობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ 3 წლის განმავლობაში, ის არ ექვემდებარება გამოსაცდელ ვადას.

ახლა დადგა საკითხი, რომ ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც დანიშნული იყო 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით, უნდა დაექვემდებაროს თუ არა შემოწმებას? ბუნებრივია, ამ თემს მიაბეს ჩემი საკითხიც. პირადად ეს თემა ჩემთვის არ არის აქტუალური.

არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია, რომ 1 ივლისიდან მოსამართლე, ვისაც აქვს 3-წლიანი გამოცდილება, არ უნდა დაექვემდებაროს გამოსაცდელ ვადას. მე რომ რამე მდომოდა და მე რომ მქონოდა სურვილი, უვადოდ დავენიშნე, მაშინ რა შემიშლიდა ხელს ამის განხორციელებაში? ეს არის ხელოვნურად აგორებული თემა. დღეს მიზანმიმართულად ხდება საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

– თქვენი დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი არ დგას დღის წესრიგში?

– არა. ეს ეხება ერთ-ერთ მოსამართლეს, რომელიც იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და მსჯელობა მიდის იმაზე, ექვემდებარება თუ არა ის გამოსაცდელ ვადას.

– ანუ არ არის საუბარი თქვენს უვადოდ დანიშვნაზე?

– არა. აქ საუბარია კანონზე. როგორც გადაწყდება იმ კონკრეტული მოსამართლის საკითხი, ისე გადაწყდება ჩემიც. 1 ივლისიდან როგორც ეს შეეხება ათეულობით მოსამართლეს, ისე შემეხება მეც. კანონი ყველასთვის ერთია, როგორც მიუდგება სხვა მოსამართლეებს, ისე მიუდგება მურუსიძესაც!

შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით საქართველოს 11.700-მდე მოქალაქემ ისარგებლა

პირველი ერთი თვის განმავლობაში, შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით საქართველოს 11.700-მდე მოქალაქემ ისარგებლა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ განუცხადა და როგორც განმარტა, უკან მხოლოდ 26 მოქალაქის გამობრუნების შემთხვევა დაფიქსირდა.

– 27 აპრილის მონაცემებით, შენგენის ზონაში, რომელიც 30 ქვეყანას მოიცავს, უვიზოდ საზღვარი საქართველოს 11 700-მდე მოქალაქემ გადაკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ იყო შიშები, ბევრი იქნებოდა ისეთი მოქალაქეების რიცხვი, რომელთაც საზღვრიდან მოაბრუნებდნენ, ეს შიშები არ გამართლდა – სულ გვაქვს 26 ასეთი შემთხვევა და სასიხარულოა ის, რომ ეს შემთხვევები უკავშირდება ობიექტურ გარემოებებს ანუ არასაკმარის დოკუმენტაციას და არა სუბიექტურ გადაწყვეტილებებს, რომელსაც იღებს ადგილზე მყოფი მესაზღვრე, – განაცხადა ხულორდავამ.

მისივე შეფასებით, პირველი ერთი თვის მაჩვენებლები „ნამდვილად კარგია“.

– მე ვფიქრობ, უნდა გავაგრძელოთ აქტიური მუშაობა საზოგადოების ინფორმირებისთვის, რომ კარგად იცოდნენ, რას გულისხმობს უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი, რა უფლებას აძლევს მათ ეს შეღავათი და რა დოკუმენტაციის ქონაა საჭირო. რაც შეეხება იმას, რამდენად ვასრულებთ რეჟიმის პირობებს, ჯერ ამის თქმა შეუძლებელია – იცით, რომ ეს არის 3-თვიანი ხანმოკლე ვიზიტის პერიოდი და ჯერ გასულია მხოლოდ 1 თვე. შესაბამისად, 90 დღის გასვლის შემდეგ გვეცოდინება, რამდენად დაიცვეს ჩვენმა მოქალაქეებმა ეს მოთხოვნა, – განმარტა მან.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თამარ ჩხეიძე: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრემიერი, როცა გადაწყვეტილებებს ივანიშვილი იღებს?“

„საზოგადოების პასიურობა ეკოლოგიის დანგრევასა და რუსი ოკუპანტების ქმედებებზე გამაოგნებელია“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ რამდენიმე აქტუალურ პრობლემაზე ყოფილ დეპუტატ **თამარ ჩხეიძეს** ესაუბრა.

– საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, რომლის განხილვა ხალხში და პარლამენტში ჯერ არ მომხდარა, „ქართული ოცნების“ გარდა, არავინ ემხრობა. თქვენი აზრით, რა არის ამ პროექტში მიუღებელი?

– თუ ამ პროექტს დაწვრილებით გავეცნობი, შესაძლოა, მასში სხვა უარყოფითი პუნქტებიც აღმოვაჩინო. ამ ეტაპზე ვიტყვი იმ მიუღებელ პრინციპებზე, რომლებიც გასაჯაროებულია. პირველ რიგში, ესაა საარჩევნო საკითხი. „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ დაზღვეული იყოს და მცირე ხმებით გაინაღდოს უმრავლესობა მომავალ პარლამენტში. ეს უნდა გაკეთდეს გადაუნაწილებელი მანდატების მითვისების გზით. ასეთი ცვლილება უსამართლოა.

ასევე არასწორად მივიჩნევ წარმოდგენილი პროექტით პრეზიდენტის უფლებამოსილებების უფრო შემცირებას. პრეზიდენტს ახლაც არ გააჩნია დიდი უფლებები, მაგრამ მას სამომავლოდ საერთოდ არაფრის უფლებას არ უტოვებენ.

– ამას ხსნიან საპარლამენტო მოდელის დამკვიდრებით.

– ზოგადად, საპარლამენტო მოდელის წინააღმდეგი არა ვარ. პირიქით, საპარლამენტო მმართველობა მისაღებია, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ პრეზიდენტის თანამდებობას ყოველგვარი აზრი დაეკარგოს. საპარლამენტო მმართველობის დროსაც შესაძლებელია, პრეზიდენტს ჰქონდეს გარკვეული უფლებები და ის პირდაპირი წესით ირჩეოდეს. პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გამაწონასწორებლის, დამბალანსებლის ფუნქცია.

– მმართველი პარტია დათანხმდა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას.

– ადრე „ქართული ოცნება“ ამაზე არ მიდიოდა. დათმობა მოხდა იმის ხარჯზე, რომ მოიფიქრეს უმრავლესობით მოსვლის უზრუნველყოფის სხვა მეთოდი – გადაუნაწილებელი მანდატების წაღება.

– მაჟორიტარული წესის გაუქმებას აპროტესტებენ „ქართული ოცნების“ მოქმედი მაჟორიტარები. მათ შორის ისინი, ვისაც ადრე არც ერთ საკითხზე ხმა არ ამოუღია.

– მაჟორიტარები ყოველთვის, ყველა პარლამენტში, გამოირჩეოდნენ მორჩილებით ხელისუფლების მიმართ. მათგან აქტიურობა ქვეყნის პრობლემებზე დიდი იშვიათობა იყო. როგორც ჩანს, ახლა ამ ადამიანებმა საკუთარი ინტერესის შელახვა იგრძნეს და ამიტომ გამოცოცხლდნენ.

– ამ საკონსტიტუციო პროექტის კრიტიკა კრიტიკად დარჩება თუ მოვლენების რადიკალიზაციას უნდა ველოდოთ?

– მარტო ამ საკითხით რადიკალიზაცია ვერ მოხდება. თუ ამას თან დაერთვის სხვა პრობლემები, თუ ამას დაემატება სხვა მამოძრავებელი მექანიზმები, მაშინ შეიძლება სხვა მოვლენების წინაშე აღმოვჩნდეთ.

– დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ევა გოცირიძის ინიციატივას. მისი იდეით, მოსამართლის შეურაცხყოფა არ შეიძლება.

– ეს ერთმნიშვნელოვნად არის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. ეს ინიციატივა ხელს უწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობის კიდევ უფრო შემცირებას.

– როგორ?

– კრიტიკის არარსებობისას სასამართლო

უფრო მეტად გახდება დამოკიდებული ხელისუფლების სხვა შტოებზე. უნდათ, რომ მოსამართლეების კრიტიკა აღარ ისმოდეს. ლევან მურუსიძემ შეურაცხყოფის მაგალითად მოიყვანა სიტყვა „მონობა“. მოსამართლეებს ადანაშაულებენ ხელისუფლებისადმი მონობაში. თუ ეს შეურაცხყოფად ჩაითვალა და აიკრძალა, მოსამართლეები იქნებიან ხელისუფლების დავალების შემსრულებლები ისე, რომ მათ აღარც გააკრიტიკებენ.

– რამდენიმე თვეა, საუბრობენ პრემიერისა და რამდენიმე მინისტრის შეცვლაზე. საზოგადოებისთვის ამით რა შეიცვლება?

– საზოგადოებისთვის ასეთი ცვლილებებით არაფერი შეიცვლება. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრემიერი, როცა გადაწყვეტილებებს ქვეყანაში ერთადერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი იღებს? საკადრო კარუსელი სჭირდებათ იმისთვის, რომ ხალხს შეუქმნან სიტუაციის უკეთესობისკენ ცვლილების ილუზია. გარდა ამისა, ხელისუფლების შიგნით გარკვეულ ჯგუფებს შორის კონკურენცია და ბრძოლაა. ცვლილებებით დაკმაყოფილდება ამა თუ იმ ჯგუფის ვიწრო ინტერესი.

– არ არის გამორიცხული, რომ „ოცნებამ“ დედაქალაქის მერად ისევ დავით ნარმანია წამოაყენოს.

– ნარმანია იქნება თუ სხვა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. ნარმანია, ძირითადად, სხვის დავალებებს ასრულებდა. დამოუკიდებლად არც სხვა იმოქმედებს. ნარმანიამ თავი დაგვამახსოვრა თბილისის ეკოლოგიის განადგურებით და უთავბოლო მშენებლობებით. ამ მშენებლობების უმრავლესობა თბილისელების ინტერესების ხარჯზე მიმდინარეობს. ეკოლოგია კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია სხვა რეგიონებში.

– რომელ რეგიონებს გულისხმობთ?

– აჭარასა და გურიას. იქ ერთი კაცის დამანგრეველი ახირების გამო ხდება მრავალწლიანი ხეების ამოთხრა და გადატანა. ეს ისეთი ქმედებებია, რომლებიც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ჩვენს ბუნებას, მით უმეტეს, სარეკრეაციო ზონაში. ეს არსებული სიტუაციის რელიეფური მაჩვენებელია. ესაა უდიდესი ზიანი და დანაკლისი. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამაზე არ არსებობს საზოგადოების ადეკვატური რეაქცია. ეს ჩვენი უბედურებაა.

– ეკოლოგიური განათლებაც გვაკლია?

– ესეც არის, მაგრამ მთავარია, რომ ხალხს არ უჩნდება პროტესტი იმაზე, რაზეც უნდა ჰქონდეს. ეკოლოგიის გარდა, არ ჩანს რეაქცია რუსეთის ოკუპანტების აგრესიულ მოქმედებებზე. საოკუპაციო ზოლის გადმოწევა გრძელდება. საზოგადოების პასიურობა ეკოლოგიის დამანგრეველ მოქმედებებსა და რუსი ოკუპანტების ქმედებებზე გამაოგნებელია.

შალვა შავგულიძე: „პლებისციტის იდეას ვუერთდებით“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, პარლამენტის თავმჯდომარემ კობახიძემ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პრინციპი „მოგებულს მიაქვს ყველაფერი“ აღიარებული და ლეგიტიმური პრინციპია საარჩევნო სამართალში. რამდენად ეთანხმებით?

– საკითხის ასეთ ფრაგმენტულად მიწოდება და არა მის მთლიანობაში დანახვა და აღქმა არაკეთილსინდისიერი მიდგომაა. მთელი ამ ხნის მანძილზე, კონსტიტუციაზე მუშაობის პერიოდში, სწორედ ეს ახასიათებდა მმართველ ძალას.

როდესაც საზოგადოებას სამი პოზიციის კომბინაციას სთავაზობ – 1. ყველა გადაუნაწილებელი მანდატი პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს, 2. ინარჩუნებ 5% ბარიერს, რომელიც ევროპული სტანდარტით ყველაზე მაღალი არის, 3. არ აძლევ პოლიტიკურ ძალებს ბლოკებად გაერთიანების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს გადაუნაწილებელი მანდატების დიდი რაოდენობით დაგროვებას, გაუგებარია, როგორ შეიძლება ეს იყოს ლეგიტიმური პრინციპი.

ამ კომბინაციის მიხედვით გვექნება შედეგი, როდესაც პოლიტიკური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა ბარიერს ვერ გადალახავს და სწორედ ბარიერგადაულახავი პოლიტიკური ძალების მიერ მოპოვებული ხმები წარმოადგენს გადაუნაწილებელ მანდატებს. ხელისუფლება გადაუნაწილებელი მანდატების მოსაგროვებლად ბეღელს ქმნის.

როდესაც ადვოკატი ვიყავი და ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა იყო, ხშირად საპროცესო შეთანხმებაზე ამბობდნენ, რომელიც ხალხიდან ფულის „ამოქაჩვის“ მექანიზმად იყო ქცეული, რა, საპროცესო შეთანხმება არ მოგწონთ?! ასეთი მიდგომა არასწორია, ვინაიდან შეიძლება რაღაც ამერიკაში კარგად მუშაობდეს, მაგრამ შეუძლებელია ამით გაამართლო საქართველოში ის, რაც აქ ვერ მუშაობს.

– ოპოზიციის ნაწილმა მოძრაობა „დაიცავი კონსტიტუცია“ დაიწყო. თქვენი პარტია უერთდება ამ მოძრაობას?

– ჩვენ არ ვართ ამ ფორმატში ჩართულები ერთადერთი მიზეზით, ჩვენთვის არ უცნობებიათ და არ მიგვიღია მონაწილეობა ამ ფორმატის დაგეგმვაში.

– არ იზიარებთ ამ პარტიების შეხედულებებს?

– ცხადია, ვიზიარებთ, ჩვენი არმონაწილეობა არ ნიშნავს, რომ ვემიჯნებით ამ ფორმატს და რაღაცაში ვუპირისპირდებით. ჩვენი მხრიდან საუბარია იმაზე, რომ ამ ფორმატის დაგეგმვაში, განსაზღვრაში იმთავითვე არ მიგვიღია მონაწილეობა, არ ვიყავით ინფორმირებული.

– „ევროპული საქართველო“ გამოდის ინიციატივით, რომ ჩატარდეს პლებისციტი ორ საკითხზე და ამ მიზნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. ამ იდეას უერთდებით?

– დიახ, ამ ინიციატივას ვუერთდებით. ეს არის სწორი და დროული იდეა. პლებისციტი არის ის გზა, რომელიც საზოგადოების ფართო ჩართულობას უზრუნველყოფს.

– ხელისუფლებაზე მოქალაქეების ხელმოწერები ერთგვარი ზეწოლა იქნება?

– დიახ, ნამდვილად ვფიქრობ, რომ ხელმოწერების შეგროვება ზეწოლა იქნება. საზოგადოებრივი აზრის კონცენტრირება მოხდება, რაც მთავარია, საზოგადოების განწყობის ღიად დემონსტრირება, თვალსაჩინოება მოხდება, თუ რამდენად ეთანხმება ქართველი საზოგადოება იმ ცვლილებებს, რასაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს, ფაქტობრივად, თავის ინტერესებს არგებს კონსტიტუციას.

ასეთი შეცდომები ადრეც იყო დაშვებული და ახლაც იგივე შეცდომის მოწმენი ვართ. საზოგადოებამ კი იცის, ეს ყველაფერი რა ცუდად მთავრდება, არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის, არამედ ზოგადად ჩვენი ქვეყნისთვის.

აქტიურობას ყველა შემთხვევაში აქვს აზრი, რადგან ჩვენ არ გვყავს მორჩილი მოსახლეობა, რომელიც ყველაფერს მიიღებს. ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელიც თეთრს და შავს კარგად არჩევს ერთმანეთისგან.

ირაკლი კობახიძე: „პროპორციული არჩევნები სამართლიანს არ ნიშნავს“

საარჩევნო სამართალში პროპორციულობა სამართლიანობას არ ნიშნავს და პროპორციულობასა და სამართლიანობას შორის ტოლობის ნიშანი არ არის.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძის განმარტებით, პრინციპი „მოგებულს მიაქვს ყველაფერი“ აღიარებული ლეგიტიმური პრინციპია საარჩევნო სამართალში და ეს პრინციპი სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვანაირად არის გამოხატული.

– მთავარი ამოცანა ნებისმიერი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებისას არის საუკეთესო ბალანსის გამონახვა ორ ძირითად პრინციპს შორის – ეს არის სტაბილურობა და პლურალიზმი. აქ საუბარი არ არის ერთისთვის უპირატესობის მინიჭებაზე. მთავარია, რომ ამ ორ ინტერესს შორის საუკეთესო ბალანსი იყოს გამონახული. მიგვაჩნია, რომ ამ ორი ინტერესის ბალანსს სწორედ ჩვენს მიერ შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, ტოლობის ნიშანი პროპორციულობასა და სამართლიანობას შორის არ არსებობს – ეს არის აღიარებული საარჩევნო სამართალში.

– ეს რომ ასე არ იყოს, ნებისმიერი საარჩევნო ბარიერი არალეგიტიმური იქნებოდა. რატომ ხდება, რომ ლიტვაში ან გერმანიაში დაწესებულია 5%-იანი ბარიერი, ზოგან 4%-იანი ბარიერი? შეიძლება რომელიმე სუბიექტმა არჩევნებში 4% მიიღოს და მისცე 6 მანდატი, მაგრამ რატომ არ აძლევ? იმიტომ არ აძლევ, რომ საარჩევნო სამართალაში აღიარებული პრინციპია, რომ პროპორციულობასა და სამართლიანობას შორის არ არის ტოლობის ნიშანი, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისი აზრით, არის გარკვეული შეზღუდვები პროპორციულობის კუთხით, რაც არის არა მხოლოდ ლეგიტიმური, არამედ სწორიც საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების დროს.

– 5%-იანი ბარიერის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არავინ დავობს. რაც შეეხება გადაუნაწილებელი მანდატების საკითხს, ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული დოზით პროპორციულობის პრინციპს ზღუდავს, თუმცა ეს შეზღუდვა არის ლეგიტიმური, რადგან პროპორციულობა არ ნიშნავს სამართლიანობას. ეს არის მინიმალური დანამატი, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას მიენიჭება და არ ქმნის გადამწყვეტ დისპროპორციას, რამაც შეიძლება პროპორციულობის პრინციპს ჩრდილი მიაყენოს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ინტერპრესნიუსი“ დაინტერესდა, ხომ არ არის ეს პროცესზე ძალადობა, მით უფრო იმ ფონზე, როცა პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში დაგეგმილია 5%-იანი საარჩევნო ბარიერის შენარჩუნება, რაც არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის ისედაც ბონუსს წარმოადგენს.

კობახიძემ აქვე აღნიშნა, რომ გადაუნაწილებელ მანდატებთან დაკავშირებით კონსტიტუციის პროექტში ჩადებული პრინციპი ლეგიტიმურია და ის ემსახურება სტაბილურობას, პროპორციულობასთან ერთად.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამამჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

საწვავის ხარჯვაში ირაკლი კობახიძე ლიდერობს

ხელისუფლების და ოპოზიციის 5-მა დეპუტატმა ეკვატორს ორჯერ შემოუარა

შორენა მარსაგიშვილი

პრემიების, დანამატების და საწვავის ხარჯვის სიყვარულში აღმასრულებელ ხელისუფლებას არც პარლამენტი ჩამორჩა. მიმდინარე წლის 4 თვეში დეპუტატების შენახვა ბიუჯეტს რამდენიმე მილიონი ლარი დაუჯდა.

დეპუტატების საამური ცხოვრების შესახებ კვლევა მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ და „ახალმა საქართველომ“ ჩაატარეს.

როგორც „მედიატორის“ წარმომადგენელმა **მარიამ ქელბაქიანმა** „ახალ თაობას“ განუცხადა, 2017 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს ხელფასის სახით 3.039.081 ლარი მიეცათ. საიდანაც დანამატი 1.839.281 ლარია.

ყველაზე მაღალ ანაზღაურებას ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, გია ვოლსკი, ირმა ინაშვილი, დავით ბაქრაძე, სერგი კაპანაძე, ხათუნა გოგორიშვილი, ზვიად ძიძიგური, რომან გოცირიძე და ილია ნაკაშიძე იღებენ.

თითოეული მათგანის შემოსავალმა მიმდინარე წლის 5 თვეში 23.000 ლარს გადააჭარბა.

ამ მაღალანაზღაურებად დეპუტატებს ფაქტიურად არაფერში ვუხდით ფულს. „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა კვლევის შედეგების პრეზენტაციისას განაცხადა, რომ მაღალანაზღაურებებიდან მხოლოდ 3 გამოსულა საკანონმდებლო ინიციატივით.

საკანონმდებლო ინიციატივებით თავს არც სხვა დეპუტატები იწუხებენ.

აი, რას ამბობს ლევან ხაბეიშვილი:

– მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან, 100 დღის განმავლობაში, 120 პარლამენტარი არც ერთი კანონპროექტის ინიციატორი არ ყოფილა. ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ათი პარლამენტარიდან თითო ინიციატივა წამოაყენა მხოლოდ სამმა – ირაკლი კობახიძემ, გიორგი ვოლსკიმ, რომან გოცირიძემ. რაც შეეხება დანარჩენ შვიდს – თამარ ჩუგოშვილს, ირმა ინაშვილს, დავით ბაქრაძეს, სერგი კაპანაძეს, ხათუნა გოგორიშვილს, ზვიად ძიძიგურს და ილია ნაკაშიძეს, მათ 100 დღის განმავლობაში საკანონმდებლო ინიციატივა არ შემოუთავაზებიათ.

დეპუტატების გარდა, შემოსავლით პარლამენტის აპარატიც არ უნდა იყოს უკმაყოფილო.

აპარატის 17-მა თანამდებობის პირმა 4 თვეში, სახელფასო ანაზღაურების სახით, 283.997 ლარი მიიღო. აქედან დანამატი და პრემია 165.917 ლარს შეადგენს.

– დეპუტატების მსგავსად, აპარატის თანამშრომლების პრემია-დანამატი შეადგენს სახელფასო დანახარჯის თითქმის 60%-ს. 4 თვეში პარლამენტის აპარატის დანარჩენი თანამშრომლებისთვის სახელფასო ანაზღაურების სახით გაცემულია 4.838.175 ლარი. აქედან თანამდებობრივი სარგო 1.990.673 ლარია, დანამატი – 314.020 ლარი, პრემია – 533.480 ლარი, – ამბობს ქელბაქიანი.

საბოლოო ჯამში მივიღეთ ასეთი სურათი – პარლამენტის დეპუტატებმა, აპარატმა და თანამდებობის პირებმა 2017 წლის პირველ 4 თვეში

მხოლოდ პრემია-დანამატის სახით 4.852.698 ლარი მიიღეს.

„„მედიატორმა“ და „ახალმა საქართველომ“ დაიანგარიშეს, თუ რა სასიკეთო საქმეების გაკეთება შეიძლებოდა ამ პრემია-დანამატებით.

– იმ თანხით შესაძლებელი იყო იძულებით გადაადგილებული, უსახლკარო 220 დევნილი ოჯახისთვის მიეცათ 22.000-ლარიანი კომპენსაცია. ამავე თანხით შეიძლებოდა, იმ ათი ათასობით ადამიანიდან, რომლებიც სოციალურ დახმარებასა და ყოველთვიურ 50-ლარიან შემწეობას ითხოვენ, 8.000 ადამიანი ერთი წლის განმავლობაში დაეკმაყოფილებინათ, – ამბობს ლევან ხაბეიშვილი.

მისივე თქმით, 39.000-ზე მეტ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს, მათგან 9.800 ფინანსური პრობლემების გამო. ამ თანხით შესაძლებელი იყო 4.900 სტუდენტისთვის საშუალოდ ათასი ლარის გადახდა, რითაც ისინი სწავლის გაგრძელებას შეძლებდნენ.

სხვა სიკეთეებთან ერთად კანონმდებლები სახელმწიფო ავტომობილებითაც სარგებლობენ.

დღეისთვის პარლამენტის ბალანსზე 94 ავტომობილი ირიცხება. „მედიატორის“ და „ახალი საქართველოს“ კვლევიდან ჩანს, რომ დეპუტატებს აქეთ-იქეთ სიარული ჰყვარებიათ.

– მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, საწვავის ხარჯმა პარლამენტში 92.690 ლიტრი შეადგინა, რაც სულ ცოტა 185.000 ლარი ღირს. 3 თვეში საწვავის ყველაზე დიდი დანახარჯი ჰქონდათ დეპუტატებს: ირაკლი კობახიძეს, სერგი კაპანაძეს, ილია ნაკაშიძეს, ირაკლი კოვზანაძეს, მარიამ ჯაშს, არჩილ თალაკვაძეს, სიმონ ნოზაძეს, ზვიად კვაჭანტირაძეს, გიორგი ჟორჟოლიანს, ირაკლი ტრიპოლსკისა და დავით ბაქრაძეს, – ამბობს მარიამ ქელბაქიანი.

მანქანით სიარულის მოყვარულ კანონმდებლებს, პარლამენტის ბალანსზე არსებული ავტომობილების 10% ემსახურება.

– მათმა დანახარჯმა კი საერთო რაოდენობის 20%-ს გადააჭარბა, – ამბობს ქელბაქიანი.

მან საწვავის საუკეთესო მხარჯველების ხუთეულიც გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზე პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გავიდა. მის ანგარიშზე 3 თვეში 2.078 ლიტრი საწვავი მოდის.

მეორე ადგილს 1.900 ლიტრი საწვავით დავით ბაქრაძე იკავებს. ირაკლი ტრიპოლსკი 1.850 ლიტრი საწვავით მესამე ადგილზე გავიდა.

ილია ნაკაშიძე 1.817 ლიტრით მეოთხე ადგილზეა, სერგი კაპანაძე კი 1.708 ლიტრით მეხუთე ადგილს იკავებს.

ქელბაქიანის განმარტებით, თუ 11 მხარჯველი დეპუტატისთვის ყოველთვიური საშუალო დანახარჯი 600 ლიტრს აჭარბებს, დანარჩენი 83 ავტომობილის შემთხვევაში ხარჯი 350-დან 400 ლიტრამდე მერყეობს.

მარიამ ქელბაქიანი მიიჩნევს, რომ კანონმდებლები საწვავს არამიზნობრივად ხარჯავენ.

– საკანონმდებლო ორგანომ პლენარული სხდომების გამართვა 8 თებერვალს დაიწყო, რაც ნიშნავს, რომ მთელი იანვარი და თებერვლის დასაწყისი დეპუტატებს ქუთაისში ჩასვლა არ უწევდათ.

პლენარული სხდომების დაწყებიდან მარტის ბოლომდე პარლამენტარებს მხოლოდ 5-ჯერ მოუწევდათ ქუთაისში ავტომობილებით ჩასვლა, რაც მაქსიმალური 2.500 კილომეტრის გავლას ნიშნავს. თუმცა, ამ 3 თვეში საწვავის ხარჯიდან გამომდინარე, თითო პარლამენტარს დაახლოებით 21.000 კილომეტრი აქვს გავლილი. ამას გამოვაკლოთ ქუთაისამდე გზა და 18,5 ათასი კილომეტრი დარჩება. ეს მანძილი ყოველდღიურად მომუშავე ტაქსის მძღოლმა რომ დაფაროს, სულ ცოტა, 207 დღე დასჭირდება, – აღნიშნავს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

მოგზაურობის მოყვარული დეპუტატების შემხედვარე კვლევის ავტორებმა კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს.

მარიამ ქელბაქიანის თქმით, ირაკლი კობახიძეს, დავით ბაქრაძეს, სერგი კაპანაძეს, ირაკლი ტრიპოლსკისა და ილია ნაკაშიძეს 105.000 კილომეტრზე მეტი აქვთ გავლილი.

– იმის გათვალისწინებით, რომ ეკვატორზე დედამიწის გარშემოწერილობა 40.000 კილომეტრია, ამ 5 ადამიანს 3 თვეში დახარჯული საწვავით შეეძლო დედამიწისთვის ორჯერ შემოევლო და ალბათ, ახლა მესამე წრის შუაში არიან, – განაცხადა მარიამ ქელბაქიანმა.

რითი გამოიჩინეს თავი ტრიპოლსკიმ და გოგორიშვილმა

დიმიტრი შაშკინი: „ძაღლებივით დარბიან სამეზობლოში და შარდავენ, ტერიტორიას ნიშნავენ“

რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის მეგობრებად ცნობილი რუსი ბაიკერების კლუბის „ღამის მგლების“ წევრები, შესაძლოა, საქართველოში ისევ ჩამოვიდნენ. მათ მოპატიჟებას და მათთან ერთად 9 მაისს პერფორმანსის მოწყობას „რუსეთ-საქართველოს ახალგაზრდული კავშირი“ გეგმავს. ამასთანავე კავშირის წევრები ითხოვენ გარანტიებს, რომ ე.წ. გეორგიევსკის ლენტით „აღჭურვილი“ „ღამის მგლები“ საქართველოს საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვის სხვადასხვა ფორმების წინაშე არ აღმოჩნდებიან, ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ სიტუაციას გააკონტროლებენ, ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მკაფიო პოზიცია უცნობია.

აღსანიშნავია, რომ „ღამის მგლები“ პოლონეთის საზღვარზე არ შეუშვეს.

ე.წ. გეორგიევსკის ლენტი და მისი დანიშნულება – აღნიშნულის შესახებ „ნიუპოსტი“ საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დიმიტრი შაშკინს ესაუბრა, რომელმაც განმარტა, თუ რა დატვირთვა აქვს აღნიშნულ ბაფთას, საიდან იღებს სათავეს და რასთან ასოცირდება:

– 9 მაისი მოდის და ყოველი 9 მაისის წინ ეს თემა მწვავდება, ყველა ადამიანმა, საქართველოში ვინც ცხოვრობს, უნდა იცოდეს, თუ რასთან გვაქვს საქმე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ მეორე მსოფლიო ომის დროს მოსახლეობიდან გამომდინარე, პროცენტულად განიცადა ყველაზე დიდი დარტყმა. მხოლოდ 300 ათასი ქართველი დაიღუპა ქერჩში, უნიათო და მავნებლური წითელი არმიის გენერლების გადაწყვეტილებების გამო, იმ ძალიან იდიოტური ბრძანებების გამო და იდიოტური გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც მიიღო მაშინდელმა წითელი არმიის ხელმძღვანელობამ.

ამიტომ საუბარი იმაზე, რომ საქართველო საკმარის მნიშვნელობას არ ანიჭებს ფაშიზმზე გამარჯვებას, ეს არის ტყუილი, ბუნებრივია, ისტორიულადაც და რეალურადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველომ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ფაშიზმის დამარცხების საქმეში და, სამწუხაროდ, დიდი მსხვერპლიც მიიღო. ძალიან კარგად ესმის ყველას საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების მნიშვნელობა და დიდ პატივს სცემს იმ უდიდეს მსხვერპლს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა.

რაც შეეხება „გეორგიევსკის ბაფთას“, ეს არაფერ კავშირში არ არის მეორე მსოფლიო ომთან. „გეორგიევსკის ბაფთა“ შემოღებული იქნა ეკატერინე მეორის მიერ, როგორც წმინდა გიორგის ჯვარის ნიშანი. ეს ბაფთა იყო ამ ჯვრის დანამატი. ამ ჯვარს ჯარისკაცებს განსაკუთრებული სიმამაცის გამოჩენის შემთხვევაში აძლევდნენ, როდესაც ჯვრების ჩამოტანას ვერ ასწრებდნენ ჯარში, აგზავნიდნენ ამ ბაფთას, ჯარისკაცებს კი ეს ბაფები თან ჰქონდათ ბრძოლის დროს და ამაგრებდნენ საკუთარ მუნდირს. ეს იყო ეკატერინე მეორის მიერ შემოღებული მედალი, ფერების კომბინაცია, ეს ფერების კომბინაცია არის რომანოვების იმპერიული დროშის ფერები. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც გააჩნია ოდნავ კრიტიკული აზროვნება, მიხვდება, რომ გეორგიევსკის ბაფთა და მეორე მსოფლიო ომი ერთმანეთთან აბსოლუტურად დაუკავშირებელი ორი რამ არის.

მეორე მსოფლიო ომში ერთი მხარე იყო საბჭოთა კავშირი, რომელიც ეომებოდა ფაშისტურ გერმანიას, ეს არის ის ქვეყანა, რომელმაც დაანგრია უამრავი ეკლესია, დახვრიტა უამრავი სასულიერო პირი და გამოუცხადა ბრძოლა ქრისტიანობას და ზოგადად რელიგიას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ესმის ისტორია, მისთვის ნათელია, რომ გეორგიევსკის ლენტი, რომელიც იყო შემოღებული ეკატერინე მეორეს მიერ და მეორე მსოფლიო ომი ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის.

2005 წელს პუტინის უშუალო დავალებით იყო დაწყებული ეს აქცია, რომელსაც „გეორგიევსკის ბაფთა“ ჰქვია. იყო გამოყენებული ლენტი, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გვარდიას, 1945 წელს გვარდიისთვის გამოიყენეს ეს ფერები, მაგრამ პუტინი ვერ იტყოდა, რომ ისინი წითელი არმიის გვარდიის აქციას აკეთებდნენ, ამიტომ იყო მოგონილი „გეორგიევსკის ბაფთა, როგორც ამ იდეის ლამაზი შეფუთვაა.

ეს პირველ რიგში კეთდება იმისთვის, რომ რუსეთმა დააფიქსიროს საკუთარი გავლენის სფეროები, ამიტომ ცდილობენ შემოაღწიონ საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებსა და სოცბანაკებში.

ეს იმდენად კომიკურია, საკუთარ თავს რომ ეძახიან „ღამის მგლებს“, იმდენად კომიკურია, რომ ძაღლებივით შარდავენ და ნიშნავენ სხვადასხვა ადგილებს. ასეთი ძაღლებივით დარბიან და ვითომ ნიშნავენ ტერიტორიებს.

გარდა ამ კომიკურობისა, ამას აქვს კონკრეტული საკითხი, ზუსტად ამიტომ არ შეუშვა ეს ხალხი პოლონეთმა საკუთარ ტერიტორიაზე, ნებისმიერი შეხლა-შემოხლა, რომელსაც მათი ყოფნა გამოიწვევს, ბრალდება იმ ქვეყანას, სადაც ეს პროვოკატორები შედიან ტერიტორიის მოსანიშნად.

ზუსტად ამიტომ არ მესმის საქართველოს მთავრობის პოზიცია, როდესაც ამბობენ, რომ თითქოს გააკონტროლებენ. ჩვენ ვართ სუვერენული ქვეყანა, გვაქვს უფლება შემოვუშვათ ან არ შემოვუშვათ ადამიანები ჩვენს ტერიტორიაზე.

არ მესმის, რატომ ვიკავებთ სირაქლემას პოზიციას?! პოლონეთის და ევროპის ბევრი ქვეყანა სწორად აფასებს სიტუაციას, რომ ისინი არიან პროვოკატორები, კარიკატურულად დარბიან და ნიშნავენ ვითომ ტერიტორიებს. არაფერ შუაში ამ პროვოკატორების შემოსვლა 9 მაისთან არ არის. ეს არაფერ შუაშია წმინდა გიორგის ჯვართან ან მეორე მსოფლიო ომთან, – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

ნიუპოსტი

ვახტანგ მაისაია: „აფხაზეთის რკინიგზის გახსნა ამერიკას არ გაუხარდება“

გულიკო ბალაძე

რა ულტიმატუმი წაუყენა რუსეთმა საქართველოს

რა მიზნით განალაგა ამერიკამ თურქეთ-სირიის საზღვარზე ჯარი? ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ბატონო ვახტანგ, ამერიკამ თავისი საჯარისო ნაწილები თურქეთ-სირიის საზღვარზე განალაგა. ამერიკა აჯანყებულ ქურთებს მხარს უჭერს. ეს ამერიკა-თურქეთის პირდაპირ დაპირისპირებას არ ნიშნავს?

– დიახ, ეს არის დაპირისპირება, რადგან თურქეთის შეიარაღებული ძალები გადავიდნენ შეტევაზე, ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოპერაციები ჩაატარეს. მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ოპერაციები. თურქები ცდილობენ იმ ტერიტორიების დაკავებას, რომ სამხედრო საფრთხე აიცილონ ქვეყანას. თურქეთმა სპეცოპერაცია ჩაატარა და დიდი მღელვარებებია. ის ძალა, რომელიც დღეს თურქეთის ხელისუფლებაშია, ცდილობს, პრევენციული მიზნით თავიდან აიცილოს ქურთული სეპარატიზმის გადმოდინება მის ტერიტორიაზე.

– ეს ქურთული სეპარატიზმი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არ არის?

– გააჩნია, როგორ შევაფასებთ. თურქეთი სუვერენული სახელმწიფოა და იგი ამ საზღვრებში აღიარებულია, როგორც სამართლის სუბიექტი. თურქეთის ნაკლი ის არის, რომ ქურთებს ავტონომიას არ აძლევს. სახალხო-დემოკრატიული პარტია, რომელიც ქურთული საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იყო, გააძევეს პარლამენტიდან. ფაქტობრივად, ამ პოლიტიკურ ძალას პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებიც მოუსპეს.

– იმის ნიშნები არის, რომ თურქეთში ქურთები გააქტიურდებიან?

– დიახ, ქურთების შესაძლო გააქტიურების ნიშნები არის, რადგან თვითონ თურქეთში საზოგადოებაში მოხდა პოლიტიკური დაპირისპირება. თურქეთში არის პოლიტიკური კრიზისი. ბოლო დროს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები დაგმეს ოპოზიციურმა პარტიებმა, როგორებიც არიან ოპოზიციური რესპუბლიკური პარტია და სახალხო დემოკრატიული პარტია.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები ცდილობენ, თავიდან აიცილონ შეიარაღებული სამხედრო მოქმედებები თურქეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ცდილობენ დაიკავონ ტერიტორიები სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე და არ მისცენ საშუალება ქურთ სეპარატისტებს, მიიღონ დახმარება.

ერდოღანი იყო ჩასული ერაყის ქურთისტანში, ქურთული ავტონომიის წარმომადგენლებთან აწარმოა მოლაპარაკება, რომ ერაყის ქურთული ავტონომია არ გახდეს თურქეთის მუშათა პარტიის დასაყრდენი. მათ რომ არ შეუერთდნენ ასევე სირიის ქურთული დაჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც არიან აჯანყებულები.

– ქურთებს ავტონომია არ აქვთ თურქეთში, ერაყში კი აქვთ.

– დიახ, ერაყში ქურთებს აქვთ ავტონომია და, ფაქტობრივად, არის სახელმწიფო სახელმწიფოში.

– ქურთები სამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არიან.

– უფრო მეტ სახელმწიფოში – ერაყშიც არიან, კავკასიაშიც – საქართველოსა და სომხეთში.

– ამერიკას დაპირისპირების შეკავების ფუნქცია შეუძლია შეასრულოს? ამერიკამ თურქეთ-სირიის საზღვარზე ჯარი რა მიზნით განალაგა?

– ქურთი მებრძოლები ახორციელებენ შეტევას აისისის მებრძოლების წინააღმდეგ. ამერიკელები თავიანთ ქურთ მოკავშირეებს ეხმარებოდნენ ამ მისიის განხორციელებაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად, თურქეთი გადავიდა შეტევაზე და ომი გამოუცხადა ქურთ აჯანყებულებს, ბუნებრივია, თურქეთ -სირიის საზღვარზე ჯარის განლაგება პრევენციული ზომაა, რომ არ მიიღოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების სახე..

– თურქებისთვის არასასურველია რუსეთის ქურთებისადმი დამოკიდებულებაც.

– რუსები ქურთებს მხარს უჭერენ და ეხმარებიან, მოკავშირეები არიან. თურქებიც მათთან ერთად იბრძოდნენ ისლამური სახალიფოს წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარმა ეროვნულმა ინტერესებმა გადააჭარბა. ამიტომ რუსეთი ცდილობს, პოზიციები შეინარჩუნოს, ამერიკელები ცდილობენ, რომ თურქეთის შეტევებმა არ მიიღოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების სახე.

– მოკლედ, ძლიერი ქვეყნები – ამერიკა, რუსეთი, თურქეთი – რაღაცნაირად ბენზის ხიდზე გადიან სირიაში, რომ არ მოხდეს მათ შორის უშუალო და დიდი დაპირისპირება სირიაში. მესამე მსოფლიო ომის საფრთხე არ შეიქმნას.

– მესამე მსოფლიო ომი არა მგონია დაიწყოს, მაგრამ შეიძლება ამ დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება მოხდეს. ამერიკასა და რუსეთს შორის დაპირისპირებამ შეიძლება მიაღწიოს კულმინაციას. თურქეთ-რუსეთის დაპირისპირება კიდევ ცალკე თემაა. აქ ირანის საკითხიც იკვეთება. ირანის თემაც აქტუალურია თუმცა, გლობალური, რეგიონული ძალების ცენტრები, რეალურად, უკვე უპირისპირდებიან სირიის კონფლიქტის ფარგლებში.

– ანუ სირიის კონფლიქტის ნიადაგზე ახალი ტერიტორიული გადანაწილება დაიწყო?

– არაა გამორიცხული, ისეთი პროცესები მიდის.

– ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებამ და საპასუხოდ ამერიკის დაბომბვამ, რუსეთს საშუალება მისცა, სირიაში დამატებითი შეიარაღება შეეტანა.

– დიახ, რუსეთმა სირიაში თავისი დამატებითი შეიარაღება შეიტანა. ამ კონტექსტში რუსეთმა საქართველოს ოფიციალურად მოსთხოვა, ლავროვისა და ხაჯიმბას პირით, რომ გაიხსნას რუსეთ-საქართველო-სომხეთის რკინიგზა. რუსეთს სურს, ირანის მეშვეობით, თავისი შეიარაღებული ძალები გადაიყვანოს სირიის მიმართულებით.

– ე.ი. თუ საქართველო დათანხმდება რუსეთ-საქართველო-სომხეთის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას, ძალაუნებურად შეიძლება რუსეთისთვის ხელშემწყობი აღმოვჩნდეთ სირიაში ომის საწარმოებლად?

– დიახ, ჩვენ რუსეთ-ირან-ასადის სამხედრო კოალიციას დავეხმარებით. ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ამ ფაქტორს. რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს ამ სარკინიგზო ხაზს სირიაში სამხედრო ტვირთების, შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის გადასაყვანად. თუ რუსეთი და ირანი შეთანხმდებიან, შეიძლება დაგეგმონ სახმელეთო ოპერაციის ჩატარება სირიაში. ისინი გადაისვრიან სახმელეთო ძალებს და დაიწყება სახმელეთო ოპერაცია.

შემთხვევითი არ ყოფილა ჯერ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში, შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირანში ვიზიტი, რომელსაც იქ შეხვდა ირანის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ჩართულია სირიის კონფლიქტის დარეგულირებაში. საინტერესოა, რატომ შეხვდა კვირიკაშვილი მაინცდამაინც ირანის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც სირიის კონფლიქტის დარეგულირებაზეა პასუხისმგებელი.

– როგორ ფიქრობთ, საქართველოს მთავრობა უნდა დათანხმდეს თუ არა?

– არ ვიცი, რას მოიმოქმედებს საქართველოს მთავრობა, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლების მიმართ რუსეთის მხრიდან ულტიმატუმია წამოყენებული. ამას ემსახურებოდა ლავროვის ვიზიტი აფხაზეთში. ამის გამო ხდება საქართველოს ტერიტორიის მცოცავი ოკუპაციის განახლება. ამ დღეებში დამატებით საქართველოს ტერიტორიის ნაწილი მიითვისეს.

– ირანში ყოფნის დროს კვირიკაშვილმა ხელი მოაწერა ოთხმხრივ ხელშეკრულებას ენერგეტიკაში თანამშრომლობის თაობაზე. ხომ არ მოხდა ამ ვიზიტის ფარგლებში კიდევ სხვა შეთანხმების დადება?

– ამის შესახებ ცნობილი არ არის.

– ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ამერიკას რა რეაქცია ექნება რკინიგზის გახსნაზე?

– რომ არ გაუხარდება, ცხადია. ჩვენ შორის გეოპოლიტიკური კავშირი დარღვევა. ჩვენი ამგვარი ქმედება ხელს შეუწყობს რუსეთის სამხედრო ბლოკის გაძლიერებას, რაც არ შედის ამერიკის ინტერესებში სირიის მიმართულებით.

– ჩვენ საფრთხეს თურქეთ-სირიის საზღვარზე და საერთოდ, სირიაში ვხედავთ, მაგრამ მან შეიძლება ჩრდილო კორეაში გადაინაცვლოს. საფრთხე არსებობს?

– ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით დიდი საფრთხე არსებობს, შეიძლება ამერიკამ სამხედრო ოპერაცია დაიწყოს. ამაში უკვე ეჭვი აღარ მეპარება. ეს უკვე დროის საკითხია. ამერიკა დაბომბავს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ობიექტებს.

– შეიძლება ჩრდილო და სამხრეთ კორეის გაერთიანების გეგმა იყოს?

– ვერ გეტყვით. ვიცი, რომ ამერიკა ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ ობიექტებს გაუნადგურებს.

– ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება.

– კიმ ჩენ ინი, ჰიტლერი, სააკაშვილი, სადამ ხუსეინი, ბაშარ ასადი და მსგავსი პიროვნებები გაუწონასწორებელი ადამიანები არიან, რომლებსაც ქვეყანა მიჰყავთ საომარ მდგომარეობამდე.

– კიმ ჩენ ინს მხარს ვინ უჭერს?

– ჩინეთი და რუსეთი.

– კიმ ჩენ ინი რაკეტებს წალმა-უკულმა რომ უშვებს, ჩინეთი საფრთხის ქვეშ არ არის?

– ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო მოკავშირეა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც თითქოს ცდილობს, ჩრდილოკორეელები შეაკავოს. ისინი სტრატეგიული მოკავშირეები არიან.

– მოკლედ, სიტუაცია მსოფლიოში ძალიან დაძაბულია, როგორც ჩანს, დიდი ქვეყნების დაპირისპირება გარდაუვალია.

– სირიაში არ ვიცი, მაგრამ ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით სამხედრო დაპირისპირება, სამწუხაროდ, რეალისტურია. ორივე მხრიდან სამხედრო მუქარები ისმის. სამხედრო მუქარების შემდეგ იწყება სამხედრო ოპერაციები. იმედია, დაპირისპირება არ იქნება.

გიორგი აბაშიშვილი: „კობახიძეს მოსახლეობასთან კონსტიტუციურ საკითხებზე მსჯელობა დესტრუქციული ქმედება ჰგონია“

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის ბრალდებებთან დაკავშირებით, „სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და პოლიტიკური კულტურის პრინციპებიდან გამომდინარე“ კომენტარს აღარ გააკეთებს.

– უკვე მერამდენედ პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან ისმის საკმაოდ მძიმე ბრალდებები საქართველოს პრეზიდენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ. ძალიან სამწუხაროა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს მოსახლეობასთან კონსტიტუციურ საკითხებზე მსჯელობა დესტრუქციული ქმედება ჰგონია. ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და პოლიტიკური კულტურის პრინციპებიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის საკითხებზე ადმინისტრაციის მხრიდან კომენტარი აღარ იქნება, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ჰქონდა შეხვედრა პარტიებთან, ექსპერტებთან და ისინი შეთანხმდნენ ერთობლივ სამოქმედო გეგმაზე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. კობახიძის თქმით, ეს სამოქმედო გეგმა შეიცავს დესტრუქციულ ელემენტებსაც.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს ავტომაგისტრალებსა და მუნიციპალურ გზებზე 1.000-მდე კამერა დამონტაჟდება

ავტომაგისტრალებზე დაახლოებით, 90-მდე კამერის დაყენება იგეგმება, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, ასევე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების სხდომაზე განაცხადა, სადაც მან სამინისტროს საქმიანობის ანგარიში წარადგინა და სამოქმედო გეგმებზე ისაუბრა.

როგორც ალავიძემ აღნიშნა, კამერები, კამერიდან კამერამდე საშუალო სიჩქარეს დაითვლიან.

– არ იქნება ისე, რომ სიჩქარეს შეანელებ, კამერას გაუვლი და მერე ისევ ააჩქარებ. ძალიან უნდა გავამკაცროთ ადმინისტრირება და ვინც დასაჯარიმებელია, ის უნდა დავაჯარიმოთ, დაფრინავენ ამ გზაზე, რამდენი პატრულიც არ უნდა დააყენო, მაინც პრობლემატურია, – განაცხადა ალავიძემ.

მისივე ინფორმაციით, ჯამში დაახლოებით, 1.000 კამერაა შეძენილი და ისინი გაკეთდება როგორც ავტობანებზე, ასევე მუნიციპალურ გზებზეც ყველა მიმართულებით.

– უსაფრთხოება ნომერ პირველი ამოცანაა. ჩვენი ვცდილობთ, მაქსიმალურად სწრაფად დავაყენოთ ეს კამერები და ჩაერთოს ეს ქსელში, შინაგან საქმეთა სამინისტროც ამისთვის მზად არის, – განაცხადა ალავიძემ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

თიბისი ბანკის ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	944,767	720,347	532,118
სახსრები სხვა ბანკებში	23,824	11,042	33,704
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	990,642	471,490	336,075
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	7,133,702	4,444,886	3,556,496
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	430,703	307,310	466,510
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	372,956	372,092	-
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	95,031	75,760	50,907
საინვესტიციო ქონება	95,615	57,600	76,216
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	7,429	9,856	251
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	3,265	1,546	383
სხვა ფინანსური აქტივები	91,895	64,317	43,857
სხვა აქტივები	170,756	103,912	77,775
ძირითადი საშუალებები	313,584	247,767	208,692
არამატერიალური აქტივები	60,698	44,344	37,756
გუდვილი	26,892	2,726	2,726
სულ აქტივები	**10,761,759**	**6,934,995**	**5,423,466**
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,199,976	1,113,574	749,285
კლიენტების ანგარიშები	6,461,582	4,177,931	3,322,428
სხვა ფინანსური ვალდებულებები	50,153	39,435	41,346
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება	2,579	912	12,433
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23,508	21,714	20,423
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	5,646	29,244	23,187
ვალდებულებებისა და დანახარჯების გადახდის რეზერვები	15,294	9,461	11,898
სხვა ვალდებულებები	62,851	40,627	34,975
სუბორდინირებული ვალი	368,381	283,648	188,015
სულ ვალდებულებები	**9,189,970**	**5,716,546**	**4,403,990**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20,617	19,587	19,576
აქციის პრემია	504,161	407,474	405,658
გაუნაწილებელი მოგება	960,060	712,743	532,992
წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი	23,327	12,755	4,624
შენობების გადაფასების რეზერვი	70,460	59,532	35,096
გასაყიდად ფლობილი ფასიანია ქაღალდების გადაფასების რეზერვი	(3,681)	5,759	8,675
სავალუტოგადაფასების კუმულატიური რეზერვი	(7,538)	(6,590)	5,484
ბანკის კაპიტალის მფლობელებისთვის მიკუთვნებული სუფთა აქტივები	**1,567,406**	**1,211,260**	**1,012,105**
არასაკონტროლო წილი	**4,383**	**7,189**	**7,371**
სულ კაპიტალი	**1,571,789**	**1,218,449**	**1,019,476**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**10,761,759**	**6,934,995**	**5,423,466**

თიბისი ბანკის ჯგუფი
მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარებში	2016	2015	2014
საპროცენტო შემოსავალი	766,410	649,059	512,357
საპროცენტო ხარჯი	(277,122)	(236,885)	(173,709)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**489,288**	**412,174**	**338,648**
საკომისიო შემოსავალი	142,802	113,837	88,203
საკომისიო ხარჯი	(52,110)	(41,546)	(29,523)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**90,692**	**72,291**	**58,680**
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებულ მოგებებს გამოკლებული დანაკარგები	70,159	64,642	39,730
სუფთა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(2,528)	2,579	2,359
სუფთა ზარალი (მოგება) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(206)	(575)	(683)
სუფთა მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	9,293	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23,214	25,883	19,600
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	**99,932**	**92,529**	**61,006**
სესხის გაუფასურების რეზერვი	(49,202)	(72,791)	(48,672)
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების რეზერვი	(558)	(967)	(77)
ვალდებულების შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვადებულებების რეზერვი	(771)	1,117	902
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	(2,569)	(3,351)	(1,236)
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რეზერვი	(11)	-	(22)
საოპერაციო შემოსავალი გაუფასურების რეზერვების გათვალისწინებით	**626,801**	**501,002**	**409,229**
პერსონალის ხარჯები	(171,304)	(142,777)	(122,835)
ცვეთა და ამორტიზაცია	(27,980)	(26,286)	(24,427)
ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი	(2,210)	(1,102)	(5,500)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(108,201)	(82,964)	(73,548)
საოპერაციო ხარჯები	**(309,695)**	**(253,129)**	**(226,310)**
მოგება დაბეგვრამდე	**317,106**	**247,873**	**182,919**
მოგების გადასახადის ხარჯები	(17,421)	(29,176)	(24,468)
წლის მოგება	**299,685**	**218,697**	**158,451**
სხვა სრული მოგება:			
პუნქტები რომელიც შეიძლება რეკლასიფირებული იქნას მოგება-ზარალში			
გასაყიდად ფლობილი ინვესტიციების გადაფასება	522	(2,436)	(1,849)
მოგებას გამოკლებული რეალიზაციის შემდეგ მოგება-ზარალში ხელახლა გამოყენების ზარალი	(11,611)	-	-
სანვენებელ ვალუტაში გადაფასების საკურსო სხვაობები	(948)	(12,075)	2,095
მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში	1,649	(479)	(192)
პუნქტები რომელიც არ შეიძლება რეკლასიფირებული იქნას მოგება-ზარალში:			
ძირითადი საშუალების გადაფასება	-	28,755	-
მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში	10,928	(4,319)	-
წლის სხვა სრული მოგება	**540**	**9,446**	**54**
სულ წლის სხვა სრული მოგება	**300,225**	**228,143**	**158,505**
მოგება მიკუთვნებული:			
- ბანკის მფლობელებისთვის	302,491	218,879	157,451
- არასაკონტროლო წილისთვის	(2,806)	(182)	1,000
წლის მოგება	**299,685**	**218,697**	**158,451**
სულ წლის სრული მოგება მიკუთვნებული:			
- ბანკის მფლობელებისთვის	303,031	228,325	157,505
- არასაკონტროლო წილისთვის	(2,806)	(182)	1,000
სულ წლის სრული მოგება	**300,225**	**228,143**	**158,505**

თიბისი ბანკის ჯგუფი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარებში	მიეკუთვნება ბანკის კაპიტალის მფლობელებს								არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	აქციაზე პრემია	წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	გასაყიდად ფლობილფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	ვალუტის გადაფასების კუმულაციური რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 1 იანვარისთვის 2014	**16,499**	**242,624**	**2,032**	**36,735**	**10,716**	**3,389**	**402,627**	**714,622**	**14,667**	**729,289**
წლის მოგება	-	-	-	-	-	-	157,451	**157,451**	1,000	**158,451**
სხვა სრული მოგება	-	-	-	-	(2,041)	2,095	-	**54**	-	**54**
სულ სრული მოგება 2014 წლისთვის	**-**	**-**	**-**	**-**	**(2,041)**	**2,095**	**157,451**	**157,505**	**1,000**	**158,505**
აქციების გამოშვება	3,077	172,493	-	-	-	-	-	**175,570**	-	**175,570**
წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვა	-	-	2,592	-	-	-	-	**2,592**	-	**2,592**
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები	-	(9,459)	-	-	-	-	-	**(9,459)**	-	**(9,459)**
არასაკონტროლო აკციის მფლობელი აქციონერებისგან დაბრუნებული წილის შესყიდვა	-	-	-	89	-	-	(2,627)	**(2,538)**	(8,296)	**(10,834)**
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-	-	-	(26,492)	**(26,492)**	-	**(26,492)**
გადაფასების ნაშთების გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(1,728)	-	-	2,033	**305**	-	**305**
ნაშთი 31 დეკემბრისთვის 2014	**19,576**	**405,658**	**4,624**	**35,096**	**8,675**	**5,484**	**532,992**	**1,012,105**	**7,371**	**1,019,476**
წლის მოგება	**-**	**-**	**-**	-	-	-	218,879	**218,879**	(182)	**218,697**
სხვა სრული მოგება	-	-	-	24,436	(2,916)	(12,074)	-	**9,446**	-	**9,446**
სულ სრული მოგება 2015 წლისთვის	**-**	-	**-**	**24,436**	**(2,916)**	**(12,074)**	**218,879**	**228,325**	**(182)**	**228,143**
წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვა	-	-	8,559	-	-	-	-	**8,559**	-	**8,559**
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები	-	1,419	-	-	-	-	-	**1,419**	-	**1,419**
გადახდის შედეგად წარმოქმნილი სააქციო კაპიტალის ზრდა	12	416	(428)	-	-	-	-	**-**	-	**-**
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-	-	-	(39,128)	**(39,128)**	-	**(39,128)**
დაბრუნებული სახაზინო აქციები	(1)	(19)	-	-	-	-	**-**	**(20)**	-	**(20)**
ნაშთი 31 დეკემბრისთვის 2015	**19,587**	**407,474**	**12,755**	**59,532**	**5,759**	**(6,590)**	**712,743**	**1,211,260**	**7,189**	**1,218,449**
წლის მოგება	**-**	**-**	**-**	-	-	-	302,491	**302,491**	(2,806)	**299,685**
სხვა სრული მოგება	**-**	**-**	**-**	10,928	(9,440)	(948)	-	**540**	-	**540**
სულ სრული მოგება 2016წლისთვის	**-**	-	**-**	**10,928**	**(9,440)**	**(948)**	**302,491**	**303,031**	**(2,806)**	**300,225**
აქციების გამოშვება	1,031	98,969	**-**	-	-	-	-	**100,000**	**-**	**100,000**
წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვა	-	-	11,783	-	-	-	-	**11,783**	**-**	**11,783**
SBP-დან სააქციო კაპიტალის ზრდა	36	1,175	(1,211)	-	-	-	-	**-**	-	**-**
შესყიდული და გაუქმებული აქციები	(37)	(3,457)	-	-	-	-	-	**(3,494)**	-	**(3,494)**
გამოცხადებული დივიდენდები	**-**	-	-	-	-	-	(55,174)	**(55,174)**	-	**(55,174)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	**20,617**	**504,161**	**23,327**	**70,460**	**(3,681)**	**(7,538)**	**960,060**	**1,567,406**	**4,383**	**1,571,789**

თიბისი ბანკის ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარებში	2016	2015	2014
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	735,704	633,093	499,052
გადახდილი პროცენტი	(274,955)	(235,157)	(182,572)
მიღებული საკომისიო	144,247	111,922	95,295
გადახდილი საკომისიო	(52,154)	(41,569)	(29,478)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი	70,411	64,642	39,730
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	8,411	18,006	13,804
გადახდილი პერსონალის ხარჯები	(147,764)	(133,354)	(116,481)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(103,182)	(79,669)	(74,703)
გადახდილი მოგების გადასახადი	(34,279)	(48,678)	(11,555)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**346,439**	**289,236**	**233,092**
სუფთა ცვლილება საოპერაციო აქტივებში			
სხვა ბანკებშდან გადასახდელი თანხები და სებ-ში სავალდებულო ნაშთი	(449,150)	(72,453)	(61,192)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	(1,221,499)	(364,896)	(686,746)
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში	(11,687)	(12,994)	(11,889)
სხვა ფინანსრი აქტივებიი	(22,855)	(13,198)	593
სხვა აქტივები	(741)	7,159	11,056
სუფთა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში			
თანხები სხვა ბანკებში	268,078	(17,351)	39,539
კლიენტის ანგარიშები	1,156,780	249,598	336,631
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,903	(415)	10,919
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯების უზრუნველყოფა	332	1,341	(5,187)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები	**71,600**	**66,027**	**(133,184)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	(143,980)	(475,417)	(845,665)
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან შემოსავლები	11,868	-	51,369
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებიდან მიღებული შემოსავლები	166,871	265,107	843,695
შვილობილი კომპანიების შეძენა მიღებული ფულის გარეშე	(200,700)	-	-
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შეძენა	(304,109)	(183,084)	-
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი	314,231	193,416	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(50,516)	(47,815)	(48,751)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,273	1,306	1,245
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	7,822	22,166	15,452
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(197,240)**	**(224,321)**	**17,345**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავლები სხვა ნასესხები სარგებიდან	905,500	582,198	370,124
სხვა ნასესხები სახსრებისგადახდა	(666,156)	(310,267)	(252,693)
შემოსავლები სუბორდინირებული ვალიდან	136,817	60,510	6,000
სუბორდინირებული ვალის გადახდა	(90,416)	(16,763)	-
შემოსავალი სავალო ინსტრუმენტების გამოშვებიდან	4,354	-	19,334
გამოშვებულისავალო ინსტრუმენტების გადახდა	(4,636)	-	(4,474)
გადახდილი დივიდენდები	(54,560)	(39,128)	(26,492)
დამატებითი წილის შეძენა არასაკონტროლო წილის მქონე აქციონერების მიერ	100,000	-	175,570
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	(3,495)	-	(10,923)
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები	-	-	(9,458)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**327,408**	**276,550**	**266,988**
სავალუტო კურსის ეფექტი	**22,652**	**69,973**	**(9,496)**
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	**224,420**	**188,229**	**141,653**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	720,347	532,118	390,465
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**944,767**	**720,347**	**532,118**

თიბისი ბანკი
TBC BANK

ირაკლი მამალაძე: „ეს იქნება ყველაზე დიდი სკანდალი, მამა გიორგი მამალაძე დამკვეთებს თუ დაასახელებს“

შორენა მარსაგიშვილი

ჰატომ ამტკიცებს, ჰომ დაგეგმილი იყო პატრიარქის მკვლელობა, ჰა დაჯგუფება დგას დეკანოზ გიორგი მამაცაძის უკან, ვის გადაჰჩენას ცდილობენ ადვოკატები? – ამ თემებზე „ახალი თაობას" ციანიდის საქმის მთავარი მონმე ირაკლი მამალაძე ესაუბრება.

– ირაკლი, თქვენ ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ მოკვლით გემუქრებოდნენ. ისევ არის მუქარები?

– ამ საქმეზე აღიძრა საქმე, თუმცა ჩემთვის უცნობია, რა ეტაპზეა გამოძიება. რაც შეეხება კიდევ არსებობს თუ არა საფრთხე, საგამოძიებო უწყების აზრით, არსებობს. პირადად მე არ მეშინია გადაადგილების. მიმაჩნია, რომ ცუდს არაფერს არ ვიმსახურებ, მაგრამ როცა ჯგუფი განეიტრალებული არ არის, ეს საფრთხე, ბუნებრივია, იარსებებს.

ჯგუფი რომ არსებობს, ეს ჩანაწერებიდანაც ჩანს. მამა გიორგი საუბარში ხშირად იყენებს ნაცვალსახელებს – ჩვენ, ისინი. ეს მიუთითებს, რომ ის მარტო არ არის. ახლა სახელმწიფოს ღირსებაზეა დამოკიდებული, როგორ დაიცავს ჩემს უსაფრთხოებას და როგორ გამოიძიებს ამ საქმეს მთლიანად.

– თქვენ არაერთხელ ახსენებთ საპატრიარქოში არსებულ რაღაც ჯგუფს. სახელების დაკონკრეტებისგან ყოველთვის თავს იკავებდით, მაგრამ ცოტა ხნის წინ ახსენეთ მეუფე პეტრე, მეუფე ანდრია და სოსო ოხანაშვილი.

– მეუფე ანდრია გვაზავა იმიტომ ვახსენე, რომ მამა გიორგი უშუალოდ მის სამსახურში მუშაობდა. თუმცა მეუფე პეტრე, მეუფე ანდრია, სოსო ოხანაშვილი და მამა გიორგი ერთ აზრზე მყოფი ადამიანები იყვნენ. აქედან გამომდინარე ვთქვი, რომ ისინი ერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

ამ ადამიანებს შორის თუ რაიმე დანაშაულებრივი კავშირები არსებობს, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ეს საქმე გამოყოფილია ცალკე. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეზე გამოძიება ძალიან სტაბილურად გაგრძელდება.

– აქამდე საქმე არ მიდიოდა სტაბილურად?

– ცხადია, არა. მამა გიორგის ადვოკატები ხშირად საუბრობდნენ, რომ თითქოს მათ გაუთქმელობაზე აქვთ ხელი მოწერილი. არადა, ჩვენ ვნახეთ, რომ მათ ყველაფერი გაახმოვანეს. აქედან გამომდინარე გამოძიებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ თანამონაწილეების საქმე ცალკე გამოყო. მასზე ხელი აღარ მიუწვდებათ ადვოკატებს.

– სავარაუდო თანამონაწილეებზე, თქვენი და პროკურატურის გარდა, საპატრიარქოს იურისტიც აკეთებს ერთგვარ მინიშნებას. გამოდის, რომ მათთვისაც ცნობილია რაღაც ჯგუფის არსებობის შესახებ.

– საპატრიარქოს შიგნით ბევრი რამე ხდებოდა და ხდება. ამის შესახებ საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ყველაზე უკეთ იციან. მათთვის ყველაზე კარგად არის ცნობილი, იყო თუ არა საპატრიარქოს შიგნით დანაშაულის წინაპირობა ან მსგავს ფაქტებს ადრე თუ ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე ისინი უფრო თამამები არიან ამ განცხადებებში.

პირადად მე რაც ვიცოდი, ამის შესახებ ყველაფერი უკვე მივაწოდე გამოძიებას. ერთადერთი, რაც მანამდე ვთქვი და შემიძლია გავიმეორო, მამა გიორგის დაუმძიმდა მუხლი. მას 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ეს, ერთი მხრივ, მისი ჩვენებებით არის განპირობებული. ჩვენ ვიცით, რომ ის მუდმივად საუბრობდა შორენა თეთრუაშვილზე. ის მას განიხილავდა მტრად. აქედან გამომდინარე გამოიკვეთა ანგარება.

რაც შეეხება მის ადვოკატებს, ისინი ნაკლებად იცავენ მამა გიორგის ინტერესებს და უფრო მეტად მოტივირებულები არიან, რომ მან არ დაასახელოს ჯგუფის წევრები. ცდილობენ, მამამ არ ითანამშრომლოს გამოძიებასთან და პროკურატურას არ მიაწოდოს სრული ინფორმაცია.

დღეისთვის ასეთი სურათი გამოიკვეთა, მამა გიორგი ცდილობს, არ ისაუბროს სხვა ადამიანებზე. საინტერესოა, თუ რითი ხსნის იმ ფრაზებს, როცა ის მრავლობით ფორმაში საუბრობს. ამას ალბათ სასამართლოზე გაიგებს საზოგადოება.

პროკურატურამ მეუფე დიმიტრის გაუთქმელობაზე მოაწერინა ხელი

– თქვენ ჯიუტად იმეორებთ რომ იგეგმებოდა არა შორენა თეთრუაშვილის, არამედ პატრიარქის განეიტრალება. ისევ ამ აზრზე ხართ და თუ ასეა, რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?

– ისევ ამ აზრზე ვარ და აქ სიჯიუტე არაფერ შუაშია. თავიდანვე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ საფრთხე, რომელიც დავინახე, უკავშირდებოდა პატრიარქს. მამაოს ციანიდი სხვა გარემოებაში რომ მოეთხოვა და ასეთი შთაბეჭდილება არ შემქმნოდა, ცხადია, მძიმე საუბარი მექნებოდა, შეურაცხყოფას მივაყენებდი და მასთან ყოველგვარ კავშირს გავწყვეტდი.

მიმდინარე წლის 2 თებერვალს სატელეფონო ზარი შემოვიდა მამაოსგან. მითხრა, ბერლინში მივდივარო და ბერლინისთვის ითხოვდა ციანიდს. ეჭვი გამიჩნდა, რომ პატრიარქის წინააღმდეგ მზადდებოდა რაღაც. თუმცა, რაც არ უნდა მომხდარიყო, უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ დავარღვევ. თავად მამა გიორგიმ უნდა თქვას, ვისთვის უნდოდა ციანიდი.

ვის წინააღმდეგაც არ უნდა ყოფილიყო ეს შხამი გამოყენებული, ეს იქნებოდა ტრაგედია და ქვეყნის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. საქმე ეხებოდა პატრიარქის დელეგაციას და ბერლინის კლინიკას.

ახლა იმაზე მიდის საუბრები, რომ პატრიარქის მოკვლა არ იგეგმებოდა და სხვა უნდა მოეწამლათ და რატომ ამბობენ, დიდი უბედურებაა. მათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა დიდი უბედურებაა.

მამა გიორგისთან გამართული შეხვედრებიდან გამომდინარე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პატრიარქის წინააღმდეგ იყო მიმართული. ისინი მუდმივად საუბრობდნენ პატრიარქის ჯანმრთელობაზე.

– ისინიო და ვისთან ერთად საუბრობდა ამ თემაზე მამა გიორგი?

– სოსო ოხანაშვილთან ერთად. ისინი გამუდმებით საუბრობდნენ იმაზე, რომ პატრიარქი ძალიან მძიმედ იყო და თებერვლის ბოლომდე ვერ მიაღწევდა და ა.შ. ამ ყველაფერმა შემიქმნა ის განცდა, რომ უწმინდესის წინააღმდეგ მზადდებოდა რაღაც ცუდი. დაჩქარებულად ციანიდის მოთხოვნაც საეჭვო იყო. ამიტომაც მივმართე გამოძიებას.

– ადვოკატებს არ სჯერათ საქმეში არსებული ჩანაწერების ავთენტურობის. ამბობენ, რომ რაც გამოქვეყნდა, კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და მის სრულად გასაჯაროებას ითხოვენ. თქვენ ერთხელ თქვით, რომ არ შეიძლება ამ ჩანაწერების სრულად გამოქვეყნება, რადგან ის ეკლესიის იმიჯზე ცუდად იმოქმედებს.

– ახლაც იგივეს გავიმეორებ – ამ ჩანაწერების გამოქვეყნება სრულად არ შეიძლება. ამ საკითხზე თავიდან იყო ძალიან მძიმე და არაადეკვატური განცხადებები. გვახსოვს პრეზიდენტის მისვლა საპატრიარქოში და სახალხო დამცველის განცხადებებიც. ყველა მოუწოდებდა საპატრიარქოს, რომ ენახათ მამა გიორგი. ამის გარდა, სთხოვდნენ პატრიარქს, თავდებში ჩასდგომოდა მამაოს. იმ მომენტისთვის მათ ეს ჩანაწერები ნანახი არ ჰქონდათ. საზოგადოებაში შეიქმნა აზრი, რომ ციანიდის საქმე საპატრიარქოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ ჩანაწერების სრულად გამოქვეყნება იქნება საპატრიარქოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. აქ არის ძალიან უხერხული საუბრები სასულიერო პირებზე. სრული გასაჯაროების შემდეგ მოხდება მათი სოციალურ მედიაში განთავსება. მოხდება ტირაჟირება და ყველანი უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ამიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება.

კასრების საქმეზე არსებობდა პრეცედენტი, რომ საზოგადოების ნაწილს აჩვენეს ეს ფირები. ახლაც იგივე შეიძლება გაკეთდეს. ვიღაცებმა შეიძლება ნახონ, მაგრამ სრულად მისი გასაჯაროება დაუშვებელია.

– თავად საპატრიარქოში სრულად აქვთ ეს ჩანაწერები ნანახი?

– სრულად არ აქვთ ნანახი. მაგრამ სრულად ნახავს მოსამართლე. ამის სხვანაირად შეფუთვა შეუძლებელია. კონტექსტი არ არის ამოგლეჯილი. ჩანაწერი რაც გამოქვეყნდა, ის ისმინება ისე, როგორც იყო. შეუძლებელია, ის სხვა რამეს დაუკავშირო.

– ამ საქმეში ისედაც იმდენი სკანდალი იყო, გველოდება კიდევ რაიმე? არის ვერსიები, რომ ყველაფერი წინ არის.

– მე რა უნდა გითხრათ, ამას სასამართლო გვიჩვენებს. ჩემთვის მთავარი იყო, ამერიდებინა ეს ტრაგედია ეკლესიისთვის.

– როცა ციანიდის საქმე გასკდა, თქვენი და პროკურატურის მიმართ სერიოზული აგრესია წამოვიდა. ახლა თითქოს აღარ არის ასე და რა შეიცვალა? დაიჯერა ხალხმა, რომ მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მკვლელობა იგეგმებოდა?

– ისეთი აგრესია აღარ არის. თავიდან ეს უარყოფითი რეაქციები იმან გამოიწვია, რომ ჩვენს საგამოძიებო უწყებებს არ აქვს ნდობა. მგონი, საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ დიდი ტრაგედია ავიცილეთ თავიდან. სახელმწიფოს თვითმიზანი არ არის ეკლესიის წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს საქმე პრემიერმა კვირიკაშვილმა აიყვანა პირად კონტროლზე.

იმათ, ვისაც არ სჯერა, მოვუწოდებ, დაელოდონ 5 მაისს, ამ დღეს სასამართლო იწყება. პატრიარქი და სინოდი თუ სხვანაირად ფიქრობენ, ეს ძალიან მალე გამოჩნდება.

– რას გულისხმობთ?

– მათ თუ გამოძიების მიმართ რაიმე კითხვები ექნებათ, ეს სასამართლოზე გამოჩნდება. საზოგადოებას ამ ყველაფრის დაჯერება იმიტომ უჭირს, რომ საქმე მამაოს ეხება. ამ საქმეზე ამდენი რამე ვიცი და მეც კი მიჭირს ამ თემაზე საუბარი.

ამასთან მინდა საჯაროდ განვაცხადო, რომ თუ მამა გიორგი გამოთქვამს გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილს და რეალურ დამკვეთებს დაასახელებს, მზად ვარ, მას გვერდით დავუდგე. ასევე მზად ვარ, გავამყარო მისი ჩვენებები. ჩვენ ძალიან ბევრ თემაზე გვისაუბრია და ჩემთვის ბევრი რამეა ცნობილი.

მხოლოდ მე რომ ვისაუბრო ამაზე, ეს არაფერს ნიშნავს. საჭიროა მტკიცებულებათა ერთობლიობა, ჯგუფთან დაკავშირებით რომ მოხდეს გამოძიება.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე ჩანს, რომ იცით ამ ჯგუფის წევრების ვინაობა. ასეა?

– ზოგადად ვიცი, მაგრამ მხოლოდ ჩემი ნათქვამი არაფერს ნიშნავს. აქ მამაოს ჩვენებაა საჭირო. სწორედ ამის გამო მივედი თავის დროზე პროკურატურაში. იქ არ მივსულვარ ხელცარიელი, რაღაც კონკრეტული რომ არ მიმეტანა, ამას არავინ დამიჯერებდა. მქონდა 2 ჩანაწერი, რომლებიც წარვადგინე. ერთი ჩვენი შეხვედრის ჩანაწერი იყო, ხოლო მეორე – სატელეფონო საუბრის. საუბარია იმ სატელეფონო საუბარზე, სადაც მამაო ციანიდს ითხოვს. ამით დარწმუნდა პროკურატურა, რომ რაღაც ცუდი მზადდებოდა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ თუ მამაო დაასახელებს დამკვეთებს, მზად ვარ, მისი ჩვენება გავამყარო, მას ამ თემაზე ჩემთანაც აქვს ნასაუბრევი. იმედი მაქვს, რომ სასამართლოზე მამა გიორგი იტყვის სიმართლეს. აი, ეს იქნება ყველაზე დიდი სკანდალი.

– საკმაოდ აქტუალური იყო სოსო ოხანაშვილის თემაც. პატრიარქის დაცვის ყოფილ უფროსზე თქვენც ბევრს საუბრობდით. ბოლო დროს მისი გვარი აღარ ისმის. რაიმე შეიცვალა?

– არაფერი არ შეიცვალა, თავად სოსო გაჩერდა. ამ ადამიანს საკუთარ თავზე და საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული შეხედულება ჰქონდა. მისი და მამა გიორგის საუბრების მოსმენის შემდეგ გამიჩნდა განცდა, რომ ეს ადამიანები კარგ საქმეს არ ემსახურებოდნენ. ისინი თავს ასაღებდნენ რეფორმატორებად. და როცა ახლოს გავიცანი ოხანაშვილი, მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს ასე არ იყო.

ის, როგორც საერო პირი და როგორც პატრიარქის დაცვის სამსახურის უფროსი, იმაზე მეტად ერეოდა საეკლესიო საქმეებში, ვიდრე ეს დასაშვები იყო. ისეთი ტერმინებით და მანერით საუბრობდა, რომ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. თავადაც თქვა ოხანაშვილმა, მძიმედ ვსაუბრობდიო.

ბევრი საუბარი იყო და მათი საუბარი დანაშაულებრივ გეგმებსაც შეიცავდა. ახლა ამაზე საუბარი არ შემიძლია. ოხანაშვილი დაკითხეს და ალბათ გასცემდა პასუხებს. დღეს ის აღარ არის პატრიარქის დაცვის უფროსი და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

ის და გიორგი მამალაძე ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ და ერთ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. სხვა ყველაფერი სასამართლოზე გამოჩნდება.

* * *

სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე დაიკითხა ბათუმის და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრიც. მამა გიორგი მამალაძე მასთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. ინფორმაცია მეუფის დაკითხვის შესახებ ცნობილი გუშინ, 1 მაისს, გახდა.

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის პრესსამსახურის უფროსის, იოანე გორელიშვილის განცხადებით, მეუფე დიმიტრი პროკურატურამ ციანიდის საქმეზე დაკითხა, თუმცა ის დეტალებს არ აკონკრეტებს.

– მეუფე დიმიტრის გაუთქმელობაზე აქვს ხელი მოწერილი და დეტალებს ვერ დავაკონკრეტებთ. ზუსტად თარიღი არ მახსოვს, რამდენიმე დღის წინ დაკითხეს, – განაცხადა იოანე გორელიშვილმა.

გორელიშვილის განცხადებით, მას არ შეუძლია თქმა, ზუსტად როდის დაიკითხა მეუფე, თუმცა, ამბობს, რომ ის, სავარაუდოდ, პროკურატურის ბოლო განცხადებამდე დაკითხეს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

დღეს მერკელი პუტინს შეხვდება

დღეს, 2 მაისს, სოჭში გერმანიის კანცლერი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდება. ჩვეულებრივად ასეთი ვიზიტების წინ იმართება ბრიფინგი. კანცლერიც მომავალი ვიზიტის შესახებ საზოგადოებას მოკლედ ამცნობს ხოლმე. ამჯერად ასეთი ბრიფინგი არ გამართულა.

ამან ზოგიერთ მოღვაწეს გაბედული განცხადებების გაკეთების საშუალება მისცა.

გერმანელი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა ეპტერმა განაცხადა, რომ დროა რუსეთთან პრაგმატული დიალოგი დაიწყოს. აუცილებელია სანქციების თანდათანობით შესუსტება, შემდეგ კი გაუქმება. ეპტერის აზრით, გერმანია რუსეთის ბაზრით დაინტერესებულია. შესაბამისად, სანქციების გაუქმება გერმანიის ინტერესებს შეესაბამება.

– რუსეთთან ურთიერთობებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ე.წ. ფასეულობებით, არამედ პრაგმატიზმით, – აცხადებს ეპტერი.

გერმანიის ხელისუფლებაში პასუხის გაცემა არ დააყოვნეს. გეორგ ერლერმა, რომელიც მთავრობაში რუსეთთან თანამშრომლობის საკითხებს განაგებს, აღნიშნა, რომ სანქციების გაუქმებაზე ლაპარაკი გამორიცხულია. ერლერმა ხაზი გაუსვა, რომ დონბასში ომი გრძელდება და ამაზე პასუხისმგებელი რუსეთია. დესტრუქციულია კრემლის პოლიტიკა სირიაშიც. რუსეთი განაგრძობს ასადის მხარდაჭერას, რომელიც საკუთარი ხალხის გენოციდს ეწევა და მის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღსაც კი იყენებს.

– სწორედ პრაგმატული ინტერესები გვამოძრავებს, რომ სანქციები არ გაუქმდეს. სწორედ სანქციების წყალობით მოხერხდა დონბასში ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილება. თუკი სანქციები გაუქმდება, ომი გარდაუვალი გახდება, რაც უფრო ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე სანქციები, – თვლის ერლერი.

ექსპერტების აზრით, მერკელის ვიზიტი უფრო დაზვერვითი ხასიათისაა. კანცლერს სურს დაადგინოს პუტინის პოზიცია რიგ საკითხებში, რასაც დიდი ოცეულის სამიტის წინ (ის ჰამბურგში გაიმართება) უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტრამპი: „ჰილარი კლინტონი რუსებთანაა დაკავშირებული“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უარყოფითად შეაფასა აჟიოტაჟი, რომელიც მისი შტაბის ცალკეული წევრების რუსებთან კონტაქტების გამო ატყდა.

– ჩემს შტაბს რუსებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია! – აცხადებს ტრამპი.

ამავე დროს პრეზიდენტმა არ გამორიცხა, რომ რუსები აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში მართლაც ჩაერივნენ, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ არც მას და არც მის საარჩევნო შტაბს ამასთან საერთო არაფერი ჰქონია.

– უნდა ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, დადგინდეს, ვინ გატეხა დემოკრატიული პარტიის სერვერი და ა.შ., – ამბობს ტრამპი.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთთან მისი ოპონენტი ჰილარი კლინტონია დაკავშირებული. მან გამოთქვა გაოცება იმის გამო, რომ ამის თაობაზე ყველა დუმს.

– აჟიოტაჟი, რომელიც პრესამ ატეხა, ჰილარის რუსებთან კავშირის გამოძიებას ხელს უშლის, – თქვა ტრამპმა.

აშშ უკრაინის დახმარებას გააგრძელებს

აშშ უკრაინის დახმარებას გააგრძელებს. ამჯერად აქცენტი უკრაინის მრეწველობის განვითარებასა და ახალი ბიზნესგარემოს შექმნაზე გაკეთდება.

უკრაინა კონკურენტუნარიან ქვეყნად უნდა გადაიქცეს და მისმა პროდუქციამ ევროპის ბაზრები უნდა დაიპყროს.

ახალი პროგრამის პრეზენტაცია 15 მაისს შედგება.

აეროფლოტის თვითმფრინავი საჰაერო ორმოში მოხვდა

აეროფლოტის თვითმფრინავი საჰაერო ორმოში მოხვდა. ის მოსკოვიდან ბანგკოკში მიფრინავდა.

დაშავდა 20 მგზავრი.

მგზავრების უმრავლესობას ღვედები არ ჰქონდა შემოჭერილი, რამაც განაპირობა ასეთი შედეგი.

სტამბულში ირანელი მედიამაგნატი მოკლეს

თურქეთში ირანული ტელე-ქსელის მფლობელი საიდ ქარიბიანი მოკლეს. მისი ტელექსელი ირანზე გადასცემდა.

ირანში ქარიბიანი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის დაუსწრებლად გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს.

ვარაუდობენ, რომ ის ირანის სპეცსამსახურის აგენტებმა მოკლეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ციმბირი ტყის ხანძრებმა მოიცვა

ირკუტსკის ოლქში ტყის ხანძარი 700 კმ-ზე მძვინვარებს. ის უკვე საცხოვრებელ სახლებზე გადავიდა. დამწვარია რამდენიმე სოფელი.

რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახური ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ხანძარი შეაჩეროს.

ირკუტსკის გუბერნატორმა ხანძრის გაჩაღებაში მოქალაქეები დაადანაშაულა, სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღება სურთ და ხანძრის პროვოცირებაც ამიტომ მოხდაო.

ამან მოსახლეობა აღაშფოთა.

– ხანძარი ხელისუფლების უპასუხისმგებლობის და კორუმპირებულობის შედეგია! მათ ჩვენი საცხოვრებელი ადგილები უკვე გაყიდეს, ჰოდა, ხელოვნურად გაჩაღებული ხანძრის მეშვეობით სურთ, რომ აქედან გაგვაძევონ, – აცხადებენ ისინი.

უკრაინამ ყირიმის ბლოკადა გააძლიერა

ხერსონის ოლქში დასრულდა დამბის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც ყირიმში წყლის მიწოდების ბლოკირება მოხდება.

პეტრო პოროშენკომ ამას მაღალი შეფასება მისცა.

– ჩვენ ჩვენს ფერმერულ მეურნეობებს უნდა მივხედოთ და მათი მორწყვა უზრუნველვყოთ! – განაცხადა მან.

რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა პესკოვმა დამბის მშენებლობას მავნებლობა უწოდა. პესკოვის აზრით, უკრაინამ რუსეთთან კონფრონტაციული ხაზი აირჩია. ბატონი პესკოვი აშკარა მუქარასაც არ მოერიდა.

– რუსეთის მოთმინება ამოიწურა, – განაცხადა მან.

ისრაელის ნატივის ყოფილმა შეფმა, ამჟამად კი პუტინის მეხოტბე იაკობ კედმიმ კრემლს უკრაინაზე დარტყმისკენ მოუწოდა.

– თუკი აშშ-ს შეუძლია დაარტყას სირიას, შეიჭრას ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც, მათი აზრით, მიუღებელი რეჟიმებია, რატომ რუსეთი უკრაინის მიმართ იგივეს არ აკეთებს? განა უკრაინაში ბანდერელთა რეაბილიტაცია არ მოხდა? განა ოდესაში ხალხი ცოცხლად არ დაწვეს? განა დონბასში რუსებს არ ხოცავენ? ისმის კითხვა, რატომ ყოყმანობს პუტინი? – ამბობს კედმი.

ნავალნი შესაძლოა ცალი თვალით დაბრმავდეს



რუსული ოპოზიციის ლიდერის, ნავალნის, მდგომარეობა გაუარესდა.

როგორც ცნობილია, მას ქუჩაში უცნობი მამაკაცი დაესხა თავს და სახეში ზელენინი შეასხა. ერთი წვეთი თვალში მოხვდა.

ნავალნი შესაძლოა ცალი თვალით დაბრმავდეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მაკრონი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ფავორიტია

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ რამდენიმე გამოკვლევა ჩატარდა, რომელთა მიხედვითაც გამოჩნდა, რომ ემანუელ მაკრონი მეორე ტურშიც გამარჯვების მთავარი კანდიდატია.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მაკრონს გამოკითხულთა 60% უჭერს მხარს, ხოლო მის მთავარ მეტოქე მარინ ლე პენს – მხოლოდ 39%.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 23 აპრილს გაიმართა და მასში გამარჯვება მაკრონმა მოიპოვა, თუმცა ლე პენმა ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიღო. მეორე ტური 7 მაისს გაიმართება.

მარინ ლე პენი საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულია, თუმცა ციფრები სხვა რამეზე მიუთითებს. მიუთითებენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა გარანტირებული შედეგით (თუნდაც ფარულად – საკვებში შერევით), სიგარეტის გადაგდება, ნიკოტინისგან განთავისუფლება, ნევროზი, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, მცენარეული პარასამკურნალო პროდუქტით, ართრიტი, ართროზი, რევმატიზმი, კანის დაავადებები (ფსორიაზი, სოკო), ქერტლი, ჭაღარისგან, წვრილი ნაოჭებისგან დაცვა, სახის კანის მოვლა, ნიღბები (გოჯის ნიღაბი). პარასამკურნალო საშუალება გარანტირებულად უსაფრთხოა. შეგვიძლია სამკურნალო საშუალების გაგზავნა რეგიონებში, ემიგრანტებთანაც (საჭიროების შემთხვევაში, ადგილზეც ჩავაკითხავთ). მოგემსახურებიან სერთიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტები. გვნახეთ ფაცებოოკ-ზე კარაბადინი-ენზიმები. ტელ: 558-34-36-24; 555-45-13-45; 599-45-88-66.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

დინამომ ქართული დერბი მოიგო და პირველი წრე პირველი ადგილით დაასრულა

ტორპედო-დინამო (თბ) 0:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 არაბული (41), 0:2 თევზაძე (69)

ტორპედო: რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, მამასახლისი (ბაბუნაშვილი 46), გიგაური, კუხიანიძე (კაპანაძე 73), ტუღუში (ტაბატაძე 55), დოლიძე, საბანაძე

დინამო: ლიტოვჩენკო, მიშენკო, თოთაძე, ლოჩოშვილი, ქარდავა,(ნინუა 83) არაბული (პაპუნაშვილი 77) მიქელთაძე, კიტეიშვილი, თევზაძე, ჩაკვეტაძე (ზარია 71), გველესიანი

სანამ მატჩის პერიპეტიებზე გიამბობთ, მანამდე ერთი ამბავი: პრინციპული შეხვედრის დაწყებამდე „რამაზ შენგელიაზე“ შეკრებილი ხალხმრავალი აუდიტორია ოვაციებით მიესალმა სახელოვან ქუთაისელ მოკრივეს ავთანდილ ხურციძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ვიდრე არბიტრი თამაშის დაწყების ნიშანს მისცემდა, ავთანდილ ხურციძემ ბურთზე საპატიო დარტყმა შეასრულა...

ტორპედოელთა ქომაგთ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი დინამოსთან ჩემპიონატებში 5 წლის წინ დაწყებულ მოუგებელ სერიას შეწყვეტდა, თუმცა ასე არ მოხდა და გამარჯვებული მეტოქე დარჩა, რადგან მასპინძლებზე უკეთესად გამოავლინა თავისი შესაძლებლობი. დინამომ ყველა კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე და ანგარიში უფრო დიდი რომ არ დაფიქსირდა, ამას რიონისპირელები საკუთარ მეკარეს, როინ კვასხვაძეს უნდა უმადლოდნენ.

საწყისი ნახევარი საათი უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. ისინი აქტიურად გადადიოდნენ შეტევაზე და ხიფათს უქმნიდნენ მეტოქის კარს. გიორგი თევზაძის დარტყმული პირველად მიზანს აცდა, მეორედ კი ჩინებულად გაისარჯა როინ კვასხვაძე. ქუთაისელთა კიპერმა ბაჩანა არაბულის დარტყმულისგანაც სასწაულებრივ იხსნა თავისი გუნდი. ტორპედოელებმა პირველი სახიფათო იერიში 30-ე წუთზე განახორციელეს და გრიგოლ დოლიძის ფლანგური გადაცემის შემდეგ ნიკა საბანაძეს შეეძლო გატანა. ფორვარდმა 10 მეტრიდან ერთი შეხებით გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ არაზუსტად. მალევე ბექა ტუღუშმაც ააცილა მიზანს.

ტორპედოელები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს დაცვაში და 41-ე წუთზე დაისაჯნენ კიდეც. თევზაძის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი არაბულმა ახლოდან უპრობლემოდ გადაგზავნა ბადეში. შესვენებაზე გასვლამდე მეორე გოლისგან მასპინძლები ისევ კაპიტანმა იხსნა, რომელმაც ზედიზედ 2 დარტყმა მოიგერია.

როინ კვასხვაძემ თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთშიც ორჯერ გადაარჩინა კარი არაბულის დარტყმებისგან, თევზაძის გასროლილი კი ხარიხამ აისხლიტა. ამის შემდეგ უკვე ტორპედოელებმა შეუტიეს მძლავრად. ექვსი წუთის განმავლობაში მათ 4-ჯერ ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, აქედან 3-ჯერ საბანაძეს, თუმცა ქუთაისელთა შემტევს სიზუსტე აკლდა.

მასპინძლებს თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანათ თამაშში, მაგრამ დაცვის მორიგი უყურადღებობა და გიორგი ჩაკვეტაძის პასით თევზაძემ ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

მერე ტორპედოს ერთ-ერთმა მაყურებელმა მოედანზე შეაღწია და თამაში მცირე ხნით შეჩერდა.

დარჩენილ დროში მეტოქეებს კიდევ ჰქონდათ საგოლე მომენტები: კვლავ არ გაუმართლა საბანაძეს. რომელიც პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ვერ აჯობა. კვასხვაძემ კი რამდენჯერმე იყოჩაღა – ჯერ ოთარ კიტეიშვილს ხელსაყრელი მდგომარეობიდან არ გაატანინა, შემდეგ ლაშა პაპუნაშვილს და ბოლოს ნიკა ნინუას.

დილა-სამტრედია 1:2

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 რაჟამაშვილი (52), 1:1 ტარავალიე (71), 1:2 რაჟამაშვილი (85)

დილა: მუჯრიშვილი, მაჩაიძე, ფოფხაძე, პაპავა, რიბეირო, გაგოშიძე (წიქარიძე 46), კირკიტაძე, კვახაძე, ნუბიო (ტარავალიე 66), ძარია (დერეტი 73), მათიაშვილი

სამტრედია: მიგინეიშვილი, კასრაძე, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი, ჩაგელიშვილი (სამუშია 81), ბერიაშვილი, ჯიქია (მთივლიშვილი 90), სუხომლინოვი (მჭედლიშვილი 72), გოგიაშვილი, ახალაძე, დათუნაიშვილი

ზედიზედ ნათამაშები ოთხი ფრის შემდეგ მარცხი განიცადა გორის დილამ. გორელებმა საკუთარ მოედანზე სამტრედიას უმასპინძლეს და მნიშვნელოვანი შეხვედრა 1:2 დათმეს.

მატჩის პირველი ტაიმი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. ანგარიში კი, 52-ე წუთზე გაიხსნა. შეტევის მარცხენა ფლანგიდან დავით ჩაგელიშვილმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, უყურადღებოდ მდგარმა დავით რაჟამაშვილმა კი, თავური დარტყმით გაიტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამომ აქტიურად შეუტია და 71-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა. ლევან ხომერიკის შეგირდებმა პირველი წრე გამარჯვებით დაასრულეს. საპირისპიროდ, კოლხეთს უქულო სერია გაუგრძელდა და გელა სანაიას გაწვრთნილებმა მიჯრით მეოთხე თამაში წააგეს.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ორივე კართან საკმაო რაოდენობის მომენტები შეიქმნა. აღსანიშნავია ორივე გუნდის მეტად დაარტყა, დუბლი გაიფორმა და საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

კოლხეთი-დინამო (ბთ) 0:1

ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 კვასოვი (25)

კოლხეთი: სიკაჩი, გ.კილასონია, გოგონაია, კერძევაძე, კაკულია (ლუკავა 82), ქებურია, დაფე, კოვტალიუკი, კორობკა (კვარაცხელია 70), ენდელაძე (ბუხაიძე 56), ვ.კილასონია

დინამო: ტაკიძე, ფარტენაძე, გიორგი ქავთარაძე (ჯოვინო 45), შონია, თევდორაძე (ფონიავა 58), სუხიაშვილი, თარხნიშვილი, კენედი, ტვილდიანი, მგელაძე, კვასოვი (კვანტალიანი 65)

ბათუმის დინამომ ზედიზედ 3-მატჩიანი მარცხიანი სერია შეწყვიტა და ზღვისპირულ დერბიში 3 ქულა აიღო. ლევან ხომერიკის შეგირდებმა პირველი წრე გამარჯვებით დაასრულეს. საპირისპიროდ, კოლხეთს უქულო სერია გაუგრძელდა და გელა სანაიას გაწვრთნილებმა მიჯრით მეოთხე თამაში წააგეს.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ორივე კართან საკმაო რაოდენობის მომენტები შეიქმნა. აღსანიშნავია ორივე გუნდის მეკარეთა კარგი თამაში. სტეფან სიკაჩმა და რომან ტაკიძემ საკუთარი გუნდები რამდენჯერმე გადაარჩინეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი 25-ე წუთზე გავიდა, კენედის დარტყმა მეკარემ მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთი კი, იაროსლავ კვასოვს მიუვიდა და შემტევმაც ცარიელ კარში გაიტანა.

ფოთელებს წონასწორობის აღდგენა რამდენჯერმე შეეძლოთ, მაგრამ ყველაზე რეალური მომენტი მატჩის უკანასკნელ წუთზე შექმნეს. გიორგი კილასონიას ჩაწოდების შემდეგ თავით მიკოლა კოვტალიუკი ურტყამდა, მაგრამ ტაკიძემ ამჯერადაც კარგად ითამაშა და რთული ბურთი მოიგერია.

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	9	7	0	2	16-4	21
2.ლოკომოტივი	9	5	3	1	23-7	18
3.საბურთალო	9	5	0	4	13-10	15
4.ტორპედო	9	4	3	2	12-9	15
5.სამტრედია	9	4	2	3	8-9	14
6.ჩიხურა	9	4	1	4	11-13	13
7.დინამო (ბთ)	9	4	0	5	7-9	12
8.დილა	9	1	5	3	8-10	8
9.კოლხეთი	9	2	1	6	11-17	7
10.შუქურა	9	0	3	6	5-26	3

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე – 10 ბურთი; მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი) – 8; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 6.

საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები ევროპის დიდი პრიზის გამარჯვებულია



პოლონურ ლეგნიცაში დასრულდა ევროპის დიდი პრიზის გათამაშება მშვილდოსნობაში.

საქართველოს ნაკრებმა ფინალში რუსეთის ნაკრები დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა – 6:0.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი პირადში და ევროპის ვერცხლის მედალოსანი გუნდურში, თბილისელი ქრისტინე ესებუა, გუნდურში ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი, საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ხათუნა ნარიმანიძე და ბათუმელი დებიუტანტი ნანა მახარაძე შედიოდნენ.

ჩვენებმა მეოთხედფინალში ჰოლანდიას მოუგეს – 5:3, ნახევარფინალში კი გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ იტალიას დააყრევინეს ფარ-ხმალი – 6:2. მართალია, იტალიელები ამ ტურნირზე გადახალისებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ, მაგრამ მათთან წარმატება მაინც სასიამოვნოა.

გეტყვით იმასაც, რომ ჩვენს ნაკრებს პოლონეთში კიდევ ორი მედლის მოპოვება შეეძლო: შერეულ წყვილებში თბილისელების, ესებუასა და ზურაბ მესტვირიშვილის დუეტმა ბრინჯაოსთვის ბრძოლა სლოვაკურ წყვილთან 2:6 დაათმო. მანამდე კი, მეოთხედფინალში ავსტრიას 6:0 მოუგეს, ნახევარფინალში კი ასეთივე ანგარიშით მომავალ ჩემპიონ იტალიასთან წააგეს.

ვაჟებში კი გუნდურ პირველობაში ჩვენი ნაკრები ასევე ბრინჯაოსთვის პაექრობაში იტალიასთან 0:6 დამარცხდა. ჩვენებმა მეოთხედფინალში ლუქსემბურგთან 6:2 მოგების შემდეგ, ნახევარფინალში უკრაინასთან 0:6 წააგეს.

პირად პირველობაში ესებუა მეოთხედფინალში გავიდა, მესტვირიშვილი – მერვედფინალში.

შედეგები

30 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიერიგა

მანჩესტერი-სუონსი 1:1
ევერტონი-ჩელსი 0:3
მიდლსბრო-სიტი 2:2
ტოტენჰემი-არსენალი 2:0

სატუნირო ცხრილი:

1.ჩელსი	34	26	3	5	72-29	81
2.ტოტენჰემი	34	23	8	3	71-22	77
3.ლივერპული	34	19	9	6	70-42	66
4.სიტი	34	19	9	6	65-37	66
5.მანჩესტერი	34	17	14	3	51-25	65
6.არსენალი	33	18	6	9	64-42	60
7.ევერტონი	35	16	10	9	60-40	58
8.ვესტ ბრომვიჩი	34	12	8	14	39-43	44
9.საუთჰემპტონი	33	11	8	14	39-44	41
10.ბორნმუთი	35	11	8	16	50-63	41
11.ლესტერი	34	11	7	16	42-54	40
12.სტოკი	35	10	10	15	37-50	40
13.უოტფორდი	33	11	7	15	37-54	40
14.ბარნლი	35	11	6	18	35-49	39
15.ვესტ ჰემი	35	10	9	16	44-59	39
16.კრ.პალასი	35	11	5	19	46-56	38
17.ჰალი	35	9	7	19	36-67	34
18.სუონსი	35	9	5	21	40-69	32
19.მიდლსბრო	35	5	13	17	26-45	28
20.სანდერლენდი	34	5	6	23	26-60	21

ესპანეთი. პრიმეირა დივიზიონი

ოსასუნა-დეპორტივო 2:2
ბეტისი-ალავესი 1:4
ეიბარი-ლეგანესი 2:0
სელტა-ბილბაო 0:3

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	35	25	6	4	104-33	81
2.რეალი	34	25	6	3	92-39	81
3.ატლეტიკო	35	21	8	6	65-25	71
4.სევილია	34	20	8	6	60-40	68
5.ვილიარეალი	35	18	9	8	52-28	63
6.ბილბაო	35	19	5	11	51-38	62
7.სოსიედადი	35	19	4	12	54-48	61
8.ეიბარი	35	15	9	11	54-45	54
9.ესპანიოლი	35	13	11	11	45-47	50
10.ალავესი	35	12	12	11	36-41	48
11.სელტა	34	13	5	16	49-57	44
12.ვალენსია	35	11	7	17	50-61	40
13.მალაგა	34	10	9	15	40-49	39
14.ლას პალმასი	35	10	9	16	52-66	39
15.ბეტისი	35	10	7	18	38-57	37
16.დეპორტივო	35	7	11	17	39-59	32
17.ლეგანესი	35	7	9	19	30-53	30
18.ხიხონი	35	5	9	21	38-70	24
19.გრანადა	35	4	8	23	28-74	20
20.ოსასუნა	35	3	10	22	37-84	19

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-კადისი 0:2
ლუგო-ხირონა 1:2
კორდობა-მირანდესი 1:1
სევილია ბ-მალიორკა 2:3

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ჰამბურგი 4:0
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი 1:0

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	31	22	7	2	79-17	73
2.ლაიპციგი	31	19	6	6	56-31	63
3.ჰოფენჰაიმი	31	15	13	3	58-32	58
4.დორტმუნდი	31	16	9	6	65-35	57
5.ჰერტა	31	14	4	13	38-37	46
6.ვერდერი	31	13	6	12	52-51	45
7.ფრაიბურგი	31	13	5	13	38-55	44
8.კიოლნი	31	10	12	9	43-37	42
9.გლადბახი	31	12	6	13	41-45	42
10.შალკე	31	11	8	12	43-36	41
11.აინტრახტი	31	11	8	12	32-35	41
12.ლევერკუზენი	31	10	6	15	44-50	36
13.აუგსბურგი	31	9	8	14	33-49	35
14.მაინცი	31	9	6	16	40-51	33
15.ვოლფსბურგი	31	9	6	16	30-49	33
16.ჰამბურგი	31	9	6	16	30-59	33
17.ინგოლშტადტი	31	8	5	18	33-54	29
18.დარმშტადტი	31	7	3	21	26-58	24

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-დიუსელდორფი 1:0
მიუნხენი-ბრაუნშვაიგი 0:1
აუე-ვიურცბურგი 3:1

იტალია. სერია ა

რომა-ლაციო 1:3
ჯენოა-კიევო 1:2
პალერმო-ფიორენტინა 2:0
კროტონე-მილანი 1:1
კალიარი-პესკარა 1:0
ემპოლი-სასუოლო 1:3
ბოლონია-უდინეზე 4:0
ინტერი-ნაპოლი 0:1

სატუნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	34	27	3	4	70-22	84
2.რომა	34	24	3	7	75-31	75
3.ნაპოლი	34	22	8	4	78-35	74
4.ლაციო	34	20	7	7	63-39	67
5.ატალანტა	34	19	7	8	58-39	64
6.მილანი	34	17	8	9	51-38	59
7.ინტერი	34	17	5	12	63-43	56
8.ფიორენტინა	34	15	10	9	55-47	55
9.ტორინო	34	12	13	9	64-55	49
10.სამპდორია	34	12	10	12	42-42	46
11.უდინეზე	34	12	7	15	43-48	43
12.კალიარი	34	12	5	17	47-64	41
13.კიევო	34	12	5	17	38-53	41
14.სასუოლო	34	11	6	17	45-53	39
15.ბოლონია	34	10	8	16	35-49	38
16.ჯენოა	34	7	9	18	33-59	30
17.ემპოლი	34	7	8	19	23-54	29
18.კროტონე	34	6	7	21	29-54	25
19.პალერმო	34	4	7	23	29-73	19
20.პესკარა	34	2	8	24	32-75	14

იტალია. სერია ბ

ნოვარა-ბრეშა 2:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

კაენი-მარსელი 1:5
დიჟონი-ბორდო 0:0
ნიცა-პსჟ 3:1

სატუნირო ცხრილი:

1.მონაკო	34	26	5	3	95-29	83
2.პსჟ	35	25	5	5	72-26	80
3.ნიცა	35	22	11	2	59-29	77
4.ლიონი	34	18	3	13	68-42	57
5.ბორდო	35	15	11	9	49-39	56
6.მარსელი	35	15	10	10	53-39	55
7.სტ.ეტიენი	34	12	13	9	38-30	49
8.ნანტი	35	13	9	13	34-47	48
9.რენი	35	10	14	11	32-39	44
10.გენგამი	35	12	8	15	40-49	44
11.ლილი	35	12	7	16	37-41	43
12.ტულუზა	35	10	12	13	36-39	42
13.მონპელიე	35	10	9	16	47-60	39
14.ანჟე	35	11	6	18	35-48	39
15.მეცი	35	10	9	16	36-70	39
16.ლორიანი	35	10	4	21	42-66	34
17.დიჟონი	35	7	12	16	44-54	33
18.კაენი	35	9	6	20	34-63	33
19.ნანსი	35	8	8	19	26-46	32
20.ბასტია	34	7	10	17	27-48	31

ჰოლანდია. თასი

ფინალი

ალკმაარი-ვიტესი 0:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

არუჯა-მორეირენშე 2:2
ფეირენშე-მარიტიმუ 2:1
ბრაგა-სპორტინგი 2:3
ბელენენსეში-ფერეირა 1:2

ხუთეთი. პრემიერლიგა

უფა-არსენალი 1:0
სეკა-სპარტაკი 1:2
როსტოვი-ამკარი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.გალენი-იანგ ბოიზი 0:2
თუნი-სიონი 2:1
გრასჰოპერსი-ლუგანო 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-რაპიდი 3:2

ბელგია. 1 დივიზიონი

პლეი ოფი (ჩრ)

გენტი-ანდერლეხტი 0:0
ოსტენდე-შარლერუა 1:0

პლეი ოფი (ეე)

მუსკრონი-რუზელარე 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ირაკლისი 2:2
ატრომიტოსი-პლატანიასი 4:1
ქსანთი-ვერია 3:0
პანათინაიკოსი-ლარისა 2:0
პანეთოლიკოსი-ოლიმპიაკოსი 0:2
პანიონიოსი-ლევადიაკოსი 1:3
პაოკი-კერკირა 5:1
იანინა-აეკი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-აკჰისარი 0:2
ფენერბახჩე-რიზე 2:1
ადანა-ანთალია 2:5
ბაშაქშეჰირი-ბეშიქთაში 3:1

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

კარვინა-ჭრადეც კრალოვე 4:2
ტეპლიცე-სლოვაცკო 2:2
სლავია-იაბლონეცი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

იაგელონია-პოგონი 1:0
ლეგია-ვისლა 1:1

უკრაინა. პრემიერლიგა

პლეი ოფი

ოლიმპიკი-ზორია 1:1
შახტარი-ოლეკსანდრია 1:0
ჩერნომორეცი-დინამო 1:4

პლეი აუტი

ვოლინი-დნიპრო 0:1

დანია. სუპერლიგა

პლეი ოფი

კოპენჰაგენი-ლუნგბიუ 3:0
ბრონდბიუ-სონდერიისკე 1:1

პლეი აუტი

ვიბორგი-ოლბორგი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-სინდსვალდი 0:0

ნორვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნდი-სტრომგოდსეტი . 2:0
ალესუნდი-ტრომსო 3:1
სანდერფიორდი-მიოლდე 3:3
სონგდალი-ლილესტრიომი 0:1
სტაბეკი-ჰაუგესუნდი 0:3
ოდ გრელანდი-ვალერენგა 2:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი-ვაასა 1:1

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა იწვევს არასწორ თანკბილვას

ეკა ირემაშვილი

ანა მეტრეველი

არასწორი თანკბილვის და კბილების ცუდი დგომის გამო ბავშვებს, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში უჩნდებათ კომპლექსები. საკუთარ თავში რწმენადაკარგულ ბავშვებს უჭირთ კონტაქტი თანაკლასელებთან, არიან გულჩათხრობილები, არამეგობრულები, რცხვენიათ საკუთარი ღიმილის, მაგრამ დღეისათვის ამ პრობლემების მოგვარება არ წარმოადგენს პრობლემას.

რა იწვევს არასწორ თანკბილვას და რა არის ყველაზე გავრცელებული მიზეზი თანკბილვის დარღვევის და კბილების არასწორი დგომისა, ამ თემებზე ნინო ბერიძის ორთოდონტიული ცენტრის ექიმი ანა მეტრეველი საუბრობს.

ანა მეტრეველი:

– ყბა-კბილთა სისტემა ვითარდება შიგა და გარე ფაქტორების ზემოქმედებით. შიდა ფაქტორებია – გენეტიკა, ის რაც ბავშვებმა მიიღეს მშობლებისაგან. გენეტიკური ინფორმაციის „ჩასახვის“ სტადიაზე, პროფილაქტიკის არანაირი საშუალება არ არსებობს.

გარე ფაქტორები – მავნე ჩვევების, ადამიანის აღნაგობის, არასწორი კვების და ასევე კარიესის ნეგატიური ზეგავლენა თანკბილვის ჩამოყალიბებაზე.

– შესაძლებელია, რომ ისეთმა მავნე ჩვევამ, როგორიცაა ფრჩხილების კვნეტა, ზეგავლენა იქონიოს თანკბილვის ჩამოყალიბებაზე?

– რა თქმა უნდა, მან შესაძლოა გამოიწვიოს კბილების გადაადგილება, როდესაც ფესვები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, კბილები მარტივად განიცდიან მიგრაციას. ან, მაგალითად, 2 წლის ასაკში ისეთი ჩვევა, როგორიცაა თითის ან მატყუარას წოვა, მოგვიანებით საწერ-კალამის ან ფანქრის კბილებს შორის მოთავსება, ან თუნდაც მუშტზე დაყრდნობა. ყველაფერმა ზემოთ ჩამოთვლილმა, შესაძლოა გამოიწვიოს კბილების და ყბების გადაადგილება. ამას გარდა, მშობელმა ყურადღება უნდა მიაქციოს – ბავშვს მოდუნებულ მდგომარეობაში პირი უნდა ჰქონდეს დახურული. მაგალითად, თუკი ბავშვს აქვს ტელევიზორის პირღია ყურების ჩვევა, ეს შესაძლოა იყოს პირის ირგვლივ კუნთის ტონუსის დაქვეითების ნიშანი, რაც ასევე ნეგატიურად აისახება თანკბილვის ჩამოყალიბებაზე.

– როგორი საკვების ჩართვაა აუცილებელი ბავშვის ყოველდღიურ კვების რაციონში?

– ორთოდონტების რეკომენდაციაა, რაც შეიძლება მაგარი საკვები, რათა მოხდეს არა მხოლოდ გადაყლაპვა, არამედ მოკბეჩა და დაღეჭვა. ხდება კბილების ვარჯიში, მაგრდება ქსოვილები, რომლებიც აკრავს კბილებს. კარგად ვითარდება და იზრდება ყბები. კანფეტის მაგივრად, ყოველთვის სჯობს, მისცეთ სტაფილო ან ვაშლი. სხვათა შორის, კანფეტები და კოლა ყველაზე საშინელი რამ არის ჩვენი მინანქრისთვის, რაც კი მოუგონიათ.

– შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ არასწორი დგომა ჩანასახის პერიოდში, როდესაც ჩანასახი ფორმირებულია, მაგრამ ჯერ ამოჭრილი არ არის?

– საქმე ისაა, რომ ხშირად კბილები ამოდის არასწორად ჩანასახების მცირე დარღვევით დგომის გამო, თუმცა ამოჭრის შემდეგ მათ შეუძლიათ დადგნენ მათთვის საჭირო ადგილზე.

– რატომ ხდება ასე?

– საქმე ეხება კომპენსატორულ შესაძლებლობებს. არასწორად მდგომ კბილზე ზეწოლას ახდენს ერთი მხრივ ტუჩები და მეორე მხრივ – ენა. მასზე ზეწოლას ახდენენ ასევე სხვა უკვე ამოჭრილი კბილები და თუკი მას ყოფნის სივრცე, იგი თავისით დაიკავებს მის ადგილს.

– თუ მშობელი ხედავს, რომ მუდმივი კბილი იზრდება არასწორად, არაა საჭირო პანიკა და უნდა დაელოდოს, როდის დასრულდება კბილთა რკალის ფორმირება?

– პანიკა საჭირო არაა. სასურველია ექიმმა-ორთოდონტმა გამორიცხოს სხვა ფაქტორები, რამაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს კბილების არასწორ დგომაზე. მაგალითად: კბილთა რკალების ან ყბების გამოხატული შევიწროება, ან კბილისთვის ადგილის არ არსებობა. თუკი 8 წლის ასაკში ბავშვს აქვს ნაპრალი წინა კბილებს შორის და არ არის სხვა დარღვევები, არ არის საჭირო სასწრაფოთ ამ სივრცის დახურვა და მოკლე ლაგმის ოპერაციის კეთება. როდესაც ამოვა მუდმივი ეშვები, ის თავისით დაიხურება.

– არის შემთხვევები, როდესაც კბილის ზრდის პერიოდში აუცილებელია რაიმე გასასწორებელი ზომების მიღება?

– რა თქმა უნდა. მაგალითად, თუკი კბილი აღმოჩნდა ზეკომპლექსური, ანუ ზედმეტი. მაშინ აუცილებელია მისი ამოღება. თუკი არასწორად ამოსული კბილი მთელ ყბას აიძულებს გადანაცვლდეს რაღაც მიმართულებით, ე.ი. პათოლოგია მხოლოდ პროგრესირდება და აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

– შეიძლება თუ არა განვიხილოთ მასაჟი, როგორც კბილების გასწორების პროდუქტიული მეთოდი?

– კბილები განლაგებულია ძვალში, იგი საკმაოდ პლასტიურია, მაგრამ იმისთვის, რომ გადავაადგილოთ კბილი, მასაჟი უნდა იკეთოთ გაუზარებლად საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე. არ უნდა მოხდეს მასაჟის შესაძლებლობების გაზვიადება. არსებობს უფრო ეფექტური მეთოდები.

– კბილების გასწორების რა თანამედროვე მეთოდები არსებობს?

– მოსახსნელი ფირფიტები, კაპები და ბრეკეტები.

მოსახსნელი ფირფიტები გამოიყენება სარძევე თანკბილვის და კბილების ცვლის პერიოდში. თანამედროვე ფერადი თხელი პლასტმასი არ იწვევს დისკომფორტს, ხოლო ცოტაოდენი თამაშის ელემენტების შეტანა, ბავშვს თქვენს „თანამებრძოლს“ ხდის კბილების გასწორების საქმეში.

ფირფიტები ახდენენ დოზირებულ ზეწოლას კბილებზე და არის მკურნალობის და პროფილაქტიკის შესანიშნავი საშუალება სერიოზული დარღვევების დროსაც.

კაპები – მოსახსნელი გამჭვირვალე კაპები, ძირითადად გამოიყენება მუდმივ კბილებზე. დღეისათვის საკმაოდ აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები კაპების დასამზადებლად.

ბრეკეტები – გარე და შიდა მიმაგრების – ყველაზე უნივერსალური სისტემაა, რომელსაც შეუძლია კბილების გადაადგილება ნებისმიერი მიმართულებით. თუ რომელ მეთოდს მიმართოს, ამას წყვეტს მხოლოდ ექიმი. ხოლო როგორი ბრეკეტები – საფირის, მეტალის, კერამიკის – ირჩევს პაციენტი.

– როგორ შევარჩიოთ ბავშვისთვის საჭირო აპარატი?

– ყველა ორთოდონტიული აპარატის არსი მდგომარეობს კბილებზე საჭირო მიმართულებით სუსტ, მაგრამ მუდმივ ზეწოლაში. მაგრამ აპარატის შერჩევამდე აუცილებელია ხანგრძლივი გზის გავლა. როგორც ერთი საუკეთესო ორთოდონტი ამბობს, მკურნალობის წარმატებული რეზულტატი დაფუძნებულია 5 კომპონენტზე: დიაგნოსტიკა, დიაგნოსტიკა, დიაგნოსტიკა, დიაგნოსტიკა და ყველაზე მთავარი – დიაგნოსტიკა!

რენტგენოლოგიური კვლევები, საღეჭი კუნთების მუშაობის შესწავლა, ყბების მოდელების ანალიზი, სახისა და ღიმილის ფოტოგრაფირება და ა.შ. აუცილებელია ინახოს და შეისწავლოს, სანამ მოხდება აპარატის შერჩევა. როცა მოხდება საწყისი სურათის გაანალიზება და გაგება, ჩვენ შევძლებთ ფინალის პროგნოზირებას – შედეგი, რომლისკენ მივდივართ პაციენტთან ერთად. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ კბილებს ასწორებს არა ბრეკეტები, არამედ ექიმის კარგად გათვლილი სტრატეგია და ტაქტიკა.

– რომელ ასაკამდე აქვს ადამიანს შანსი გაისწოროს მისი არაესთეტიკური ღიმილი?

– ძვლოვანი ქსოვილის გადაწყობის პროცესი გრძელდება მთელი ცხოვრება. ეს ნიშნავს, რომ ბიოლოგიურად კბილების გადაადგილება შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში.

სპორტი

გურამ კაშიამ ვიტესის პირველი ტიტული ასწია



ჰოლანდიის თასის ფინალი როტერდამში გაიმართა – არნემის ვიტესმა 2:0 დაამარცხა ალკმაარი და თასის მფლობელი გახდა. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა გურამ კაშიამ და ბოლოს ქვეყნის თასიც ასწია ვიტესის კაპიტნის რანგში. ვიტესის 125-წლიან ისტორიაში პირველი ტიტულია და მისი აღმართვაც ქართველს მოუწია. ასე შევიდა კაშია კლუბის ისტორიაში და ის უკვე ლეგენდადაც გამოაცხადეს.

გურამ კაშია:

– ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა. ემოციებისგან დაცლილი ვარ და ძალიან ვამაყობ. ჩვენ არც ფეინოორდი ვართ, არც აიაქსი და არც პსვ. კლუბს იშვიათად ეძლევა ტიტულის მოპოვების შანსი, ამიტომ ასეთ რამეს მიჩვეულნი არ ვართ. რა თქმა უნდა, ვიტესში ვრჩები. ევროპის ლიგაზე მინიმუმ 6 მატჩი ჩემთვის ახალი მოტივაციაა. ეს ძალიან საინტერესო მატჩები იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ანდორას საქმე გაურთულდა, სანაძე სლოვენიაში ბომბარდირია

ქართული ლეგიონის ამბები

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში ანდორა მორაბანკი უშუალო კონკურენტ ბილბაოს შეხვდა და მარცხი განიცადა. გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის გუნდმა ბასკებთან სტუმრად წააგეს – 67:81.

გიორგი შერმადინი თავის გუნდში საუკეთესო იყო. ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში 22 წუთი ითამაშა და 15 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შერმადინმა 8-დან 4 ორქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო.

სასტარტოში იყო ბექა ბურჯანაძეც. ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 21 წუთი გაატარა და 4 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა. ბექამ 3-დან 2 საჯარიმო და 1 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

წაგების მიუხედავად, ანდორა პლეი ოფში გამსვლელ, ბოლო, მე-8 ადგილს ინარჩუნებს. ბილბაომ კი ამ გამარჯვებით ანდორელებთან ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა.



მომდევნო ტურში ქართველების გუნდი ესპანური ლიგის ლიდერ ვალენსიას უმასპინძლებს.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ კი, ევროლიგიდან გამოვარდნის შემდეგ, მთელი ყურადღება ესპანეთის ჩემპიონატზე გადაიტანა. ვიტორიულმა კლუბმა მორიგი ტურის მატჩში ხუვენტუდს უმასპინძლა და 81:45 გაანადგურა.

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ბასკონიელთა სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და მოედანზე 17 წუთი გაატარა. შენგელიამ 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო კი ააცილა. ქართველმა ლეგიონერმა საბოლოოდ 8 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

20 მოგებითა და 8 მარცხით ბასკონია მე-3 ადგილზეა. მომდევნო ტურში ბასკონია უნიკახას უმასპინძლებს.

სლოვენიის ჩემპიონატის სეზონი დაასრულა დუდა სანაძის პრიმორსკამ. კოპერულმა გუნდმა, რომელიც ლიგაში დასარჩენად იბრძოდა, 6 გუნდს შორის პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

ბოლო ტურის მატჩში პრიმორსკამ ტაიფუნი 74:63 დაამარცხა. ამ მატჩში ქართველ უკანახაზელს არ უთამაშია.

სამაგიეროდ, სანაძემ სეზონი ბომბარდირის ამპლუაში დაასრულა – ქართველი ფორვარდი სლოვენიის უმაღლეს ლიგაში საშუალოდ 17.3 ქულას აგდებდა.

ასტროპროგნოზი

2 მაისისათვის

ვერძი – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** – ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** – ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** – კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანცალი** – საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **შუბლდოსანი** – შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგქანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **მერწყული** – დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. საჭმელი სოკო; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. მინერალური წყალი იმერეთში; 6. დახურული ტიპის მსუბუქი ავტომობილი; 8. კვების პროდუქტების მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 10. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 12. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. მდინარე ტოკიოში; 16. ქართველი კინორეჟისორი.

თარაზულად: 1. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 9. ანგორული თხის მატყლი; 11. ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. ჰუსართა მუნდირი; 13. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 17. პოპულარული პლაჟი ლოს ანჯელესში; 18. მოთელილი მატყლის ქსოვილი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. დეტექტიური ჟანრის ფრანგი მწერალი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. პანამა; 5. კარაბინი; 6. სოფია; 7. ოსირისი; 8. ბემოლი; 10. აბაზი; 13. ჟილეტი; 15. ტრანსი; 16. დედა; 17. პინა; 20. ნიამეი; 21. კისელი; 22. პატენტი; 23. დრაქმა.

შვეულად: 1. მაკიაჟი; 2. კამერტონი; 3. ლომბარდი; 4. პასტორი; 5. კარატი; 9. ლუნეტი; 11. ზანდუკი; 12. პირატი; 14. ლიგნიტი; 18. აბატი; 19. „იმედი“.

სკანვორდის პასუხები:

1. რაკეტა; 2. საუნა; 3. ტირანია; 4. პერანგი; 5. ანა; 6. ანანკე; 7. ბარიტი; 8. ია; 9. მამა; 10. მარად; 11. ალ; 12. კამიუ; 13. ნუკრი; 14. აზია; 15. მასრა; 16. იაგო; 17. სიმბიოზი; 18. ასტრალური; 19. სენა; 20. ურანია; 21. წუწურაქი; 22. ნარდი; 23. წუწკი; 24. ტკიპა; 25. ანწლი; 26. ნუტრია; 27. ბასი; 28. გარანტია; 29. დრიუ; 30. ტაბუ; 31. რანიკუ; 32. პირამიდა.

სურათებზე: ჰენესის როდრიგესი; დავიდ სილვა.

პატრიარქის ნათლული 1100 პატარა გახდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნათლული კიდევ 1100 პატარა გახდა.

რიგით 48-ე საყოველთაო ნათლობა სამების ტაძარში გაიმართა. მისი უწმინდესობის ნათლულები გახდნენ ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილები. მათ პატრიარქისგან სამახსოვროდ გადაეცათ ნათლობის სანთელი, ჯვარი და ახალი აღთქმა.

ნათლობის საიდუმლო სამების ტაძრის მღვდელმსახურებმა ჩაატარეს. საყოველთაო ნათლობის დასრულების შემდეგ კი სამების ტაძარში მისი უწმინდესობა მიბრძანდა და თავის ნათლულები დალოცა.

ილია მეორე ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და შემდგომი შვილების მონათვლის ინიციატივით 2008 წლის ნათლისღების დღესასწაულზე გამოვიდა და თავისი გადაწყვეტილება საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემებით ახსნა. მისი უწმინდესობის ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 48 საყოველთაო ნათლობის შედეგად, ილია მეორეს 27 ათასზე მეტი ნათლული ჰყავს.

პანტომიმის თეატრს მინები ჩაუმსხვრიეს

პანტომიმის სახელმწიფო თეატრს შუა ქალაქში, რუსთაველის გამზირზე მინები ჩაუმსხვრიეს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თეატრი ბოროტმოქმედების სამიზნე ხდება. პანტომიმის თეატრი არაერთხელ გაქურდეს, მინებიც დაუმსხვრიეს და ტექნიკაც მოპარეს, ამიტომ მისი ხელმძღვანელები ამ ფაქტს უკვე შეგუებულები არიან.

როგორც თეატრის დირექტორმა ამირან შალიკაშვილი უმცროსმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ თეატრის შენობა წინა ხელისუფლებამ 1 ლარად გაყიდა, დასი იქიდან წასვლას არსად არ აპირებს.

ნინო ანანიაშვილს იაპონიის იმპერატორის ჯილდო მიენიჭა

ტოკიოში იაპონიის იმპერატორის ჯილდოს 2017 წლის გაზაფხულის ლაურეატები გამოცხადდა. იაპონიის მთავრობის მიერ გავრცელებულ სიაში დასახელებულია ქართველი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც დაჯილდოვდა ლენტით დამშვენებული „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენით.

ნინო ანანიაშვილს ჯილდო იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებში ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობისა და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მიენიჭა. პრიმა-ბალერინასთვის მინიჭებული ჯილდო კულტურის მოღვაწეთათვის იაპონიის მიერ დაწესებული ჯილდოებიდან ყველაზე მაღალი რანგისაა. ამ ორდენის კავალერი 2011 წელს, 86 წლის ასაკში, მაია პლისეცკაია გახდა.

იაპონიის საიმპერატორო ჯილდოს გადაცემა 1875 წელს დაიწყო, ხოლო დაჯილდოების დღევანდელი სისტემა ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა. არსებობს ორი სახის ჯილდო – „ამომავალი მზის ორდენი“ და „წმინდა საგანძურის ორდენი“. ეროვნებით არაიაპონელი ჩვეულებრივ „ამომავალი მზის ორდენით“ ჯილდოვდება. წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 105 არაიაპონელი ლაურეატი შეირჩა და ამ რანგის ჯილდო მხოლოდ 34-ს მიენიჭა, ხელოვნების სფეროში კი მხოლოდ ნინო ანანიაშვილი დაჯილდოვდა.

ქართველ პრიმა-ბალერინას ჯილდოს 6 თვის შემდეგ ოფიციალურად გადასცემენ.

თბილისის კონსერვატორია 100 წლისაა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 100 წლისაა. საუკუნოვან იუბილეს კონსერვატორია სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონსერვატორიის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი გაიხსნება. ფესტივალს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტური სიმფონიური ორკესტრი და გუნდი გახსნის, რომელსაც დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილი უდირიჟორებს.

ფესტივალი მაისის ბოლომდე გაგრძელდება და 15 ღონისძიებას მოიცავს, მათ შორის „კონსერვატორიის საიუბილეო გალა-კონცერტს მიძღვნილს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი“. ეს საღამო 26 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება.

თბილისის კონსერვატორია მთელ ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელია. ოფიციალურად იგი ზუსტად 100 წლის წინ გაიხსნა, მოგვიანებით კი სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა. უკვე 70 წელია კონსერვატორია ქართველი საოპერო მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს.

„წინ უფსკრულია, სადაც ჩვენი ისტორიიანად და საამაყო მიღწევებიანად გადავიჩეხებით, სიმართლეს თუ არ გავუსწორებთ თვალს...“

მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემას ეხმაურება და მიაჩნია, რომ სახელმწიფომ განათლება უმთავრესი პრიორიტეტის რანგში უნდა აიყვანოს:

– კიდევ ერთხელ დავფიქრდი ჩვენი ქვეყნის – არა აწმყოს, არამედ მომავლის უმთავრეს პრობლემაზე...

განათლებას არ უშველის მხოლოდ სისტემური რეფორმა, მე ვფიქრობ, განათლებასთან დაკავშირებული საკითხები – საშუალოც, უმაღლესიც, დარგობრივიც – სახელმწიფომ უნდა აიყვანოს უმთავრესი პრიორიტეტის რანგში და მთელ მსოფლიოს, ისევე, როგორც მდიდარ ქართველებს, „აიძულოს“, ჩადონ ამაში ფული!

ვერ ვეგუები საკუთარ სტატუსს, სადაც დიდაქტიკის ელემენტია და ამის გამო მიჭირს ამ ყველაფერზე საჯაროდ წერა, მაგრამ რა ვქნა, ვაცნობიერებ, რომ წინ უფსკრულია, სადაც ჩვენი ისტორიიანად და საამაყო მიღწევებიანად გადავიჩეხებით, სიმართლეს თუ არ გავუსწორებთ თვალს...

ოქსფორდის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის პრიზის ქართველი მფლობელი ნამუშევრებს გამოფენს



ბელგიაში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ოქსფორდის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის პრიზის მფლობელისა და სხვა მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილის მერაბ სურვილაძის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა „ჩრდილები“ ხელოვნების სასახლეში გაიხსნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ხელოვანის ავანგარდისტულ სტილში შესრულებული 20-მდე ფერწერული ნამუშევარი, რომელთა მთავარი გზავნილიც ტოლერანტობა და თანასწორობაა.

მერაბ სურვილაძის სახელოსნო ბრიუსელის ცენტრში „ბრასსელს არტ ფაქტორიში“ მდებარეობს და უკვე მრავალი წელია ბელგიაში კრეატიული და გამორჩეული მხატვრის სტატუსით სარგებლობს. მერაბ სურვილაძის შემოქმედებას განსაკუთრებული აღიარება უჩვეულო და მეტად საინტერესო ხატვის სტილმა „ჩრდილებმა“ მოუტანა.

მარტში ლონდონში ორგანიზებულ ღონისძიებაზე ხელოვანის შემოქმედებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ამავე წლის თებერვალში კი ოქსფორდში, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 150-მდე მხატვარი იღებდა, მხატვარი მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

გარდა კერძო კოლექციებისა, მერაბ სურვილაძის ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს სხვადახვა გალერეებსა და მუზეუმებში მათ შორის ბრიუსელის მუზეუმში, სადაც მრავალი ცნობილი მხატვრის ფერწერული ტილოა თავმოყრილი.

ექსპოზიცია ხელოვნების სასახლის დროებით საგამოფენო დარბაზებში 8 მაისამდე დარჩება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

გამომცემლობა „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ თანაუგრძნობს ვიოლა ტუღუშს მამიდის

ნონა ტუღუშის

გარდაცვალების გამო.

ქ.თბილისის შრომის ვეტერანთა და დაუსაქმებელ სპეციალისტთა კავშირი „ქომაგი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ორგანიზაციის აქტიური წევრი, ჩვენი დიდი მეგობარი

შოთა კანდელაკი

დიდი დანაკლისია ჩვენთვის შენი გარდაცვალება, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო შოთა, უდიდესია ჩვენი გულისტკივილი.

ნათელში იყოს შენი სული აწ და მარადის!

ორგანიზაციის სახელით, ინესა მაჭავარიანი, ეთერ დარჩია

ვწუხვართ ბატონი

ზურაბ ჩხონდიას

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

გურამ კვიკვინია, ომარ შურღაია, მურმან გაბისონია, ბეჟან ნადარაია, რევაზ ხაინდრავა

სს თბილაბრეშუმი იუწყება თამარ კახელი-ზაზაძის ძმის

სოსო ზაზაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანა აკობია, შვილი თამუნა, შვილიშვილი ნისა, სიძე ირაკლი გოგოხია, დები ნათელა, გული, ძმა ზაალი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ არტემის ძე ცხონდია

დაკრძალვა: 4 მაისს, ქ. ზუგდიდში, გორკის ქ.№31.

მანანა, სოსო, ბესო, გიორგი, დათო ნაყოფიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ნიჭიერი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონი

ზურაბ ცხონდიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

სამშაბათი 2 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 02.30** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** თოქ-შოუ . სპორტი 360 **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/2 ფინალური მატჩი **00.30** მხ/ფ "**40 წლის უბიწო ბერბიჭა**"

08.00 დოკ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" **09.00** დოკ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "ჟოზეფ მალორო უილიამ ტერნერი" **12.00** დოკ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრო ვეტერინე**" **14.00** დოკ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) **17.00** დოკ/ფ "ელიოტ ნესი ალ კაპონეს წინააღმდეგ" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ომის ამბები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარაკლი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ფიქი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნაძახვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**ჩვენ ანგელოზები არ ვართ**" **01.30** მხ/ფ "**დივერსია**" **03.15** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია 3**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

08.00 ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი **09.00, 13.00** სერ. "**აღჟა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბორტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**სიჩქარის წყურვილი**" **00.55** მხ/ფ "**გაბასცება სამოც წამში**" **03.10** მხ/ფ "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**"

06.10 სპექტაკლი-"**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" **07.20** სათავეებთან "კონსტანტინე გამსახურდია" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.35** პატერიკი-სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ **10.40** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე....მაშტაბური ტექნოლოგიური კატასტროფები" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა-"ზეთის ხილის ხე" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "ჭკუა და იღბალი" **15.50** ქრისტიანული ხელოვნება-"ჯვარცმის იკონოგრაფია" **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "შვიდკაცა" (თბილისი) **17.05** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ომარ მხეიძე" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი ათქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" III ნაწ. **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "აბა დამაცადე" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ლექართისა და ყუმის მონასტრები" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" პოლიტიკური **22.50, 5.30** სერ. "**ეს კობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური სააპადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 მაისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4416
- ევრო — 2.6701
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1604
- 100 რუსული რუბლი — 4.2768

ამინდის პროგნოზი 2 მაისისთვის



4 მაისიდან

სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი მაგარი ყდა, ფერადი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

2 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

3 მაისიდან

ქართული დეტექტივი, ტომი 12

აბუსერიძეების საგა

მაია ბურჭულაძე

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

იუმორი

გამომძიებელი ეჭვმიტანილს ეკითხება:

– თქვენ და დედათქვენს სხვადასხვა გვარები გაქვთ, რა, სხვადასხვა მამები გყავდათ?

– მმმ... დიახ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ამასწინათ სახლში მთვრალი მივედი, ცოლი ქურდი მეგონა და ფანჯრიდან გადაგდება დავუპირე, უნდა გენახა, როგორ ყვიროდა.

– ეგ რა არის, მე სახლში დაბრუნებულს ქურდი ცოლი მეგონა და შენ იმისი ყვირილი უნდა გენახა.

●●●

ჯარში მყოფი შვილიშვილისგან ბებიამ ამანათი მიიღო. ამანათში ხელყუმბარა იდო, ხოლო მასზე მიმაგრებულ წერილში ეწერა:

– ძვირფასო ბებია, თუ მაგ რგოლს გამოაძრობ, შვებულებით გამომიშვებენ.

●●●

ქალიშვილი მხოლოდ დილით დაბრუნდა სახლში. განრისხებული მამა ეკითხება:

– სად იყავი მთელი ღამე?

– მთელი ღამე ეროვნულ გმირთან გავატარე.

– ვისთან???

– უცნობ ჯარისკაცთან!

●●●

დილით კაცმა გაიღვიძა. ჯერ მარცხნივ მოაფათურა ხელი, არავინაა. მერე მარჯვნივ, იქაც არავინაა, მერე საბანი ასწია, შიგნით ჩაიხედა და კითხულობს:

– რატომ დგახარ?... ვის ველოდებით?...

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ბაზაა?

– სხვაგან მოხვდით, ეს სარაკეტო ბაზაა.

– მე კი არა, თქვენ მოახვედრეთ სხვაგან. ვინ ამინაზღაურებს სახლის ფულს?

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– შენ ხომ გახდომას აპირებდი?

– რა გინდა, სალათს ვჭამ!

– ერთმანეთში აურიე, ხორცი, ძეხვი, კარტოფილი, სოკო და მაიონეზი!

– მერე? ხომ გითხარი, სალათს ვჭამ!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, ხომ მართლა ღმერთმა გამოგიგზავნა ჩემი თავი?

– ჰო, ძვირფასო... მაგრამ რა ცოდვისთვის, ვერ გამიგია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

„პატრიარქის ზაფხული“ კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

მოურინიო: „ჩემი ფეხბურთელები ტუალეტშიც კი ტრავმას იღებენ“

მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ბოლო პერიოდში თავის ფეხბურთელებს ხშირად აკრიტიკებს.

პორტუგალიელ მწვრთნელს ამის მიზეზიც აქვს, რადგან მანჩესტერი ვერ აჩვენებს იმ შედეგებს, რასაც მისგან ითხოვს გულშემატკივარი.

ამჯერად მოურინიოს შეგირდებმა საკუთარ მოედანზე სუონსის დამარცხება ვერ მოახერხეს და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ძალიან გაირთულეს.

მოურინიომ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მთავარი პრობლემა მისი გუნდისთვის ტრავმებია და ფეხბურთელები ტუალეტში შესვლასაც ვერ ახერხებენ ისე, რომ ტრავმა არ მიიღონ.

მიუხედავად ამისა, ჟოზემ იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სეზონში მდგომარეობა გამოსწორდება.

ხამესით ლივერპულიც დაინტერესდა

მადრიდის რეალის კოლუმბიელმა ფორვარდმა ხამესმა შესაძლოა სეზონის ბოლოს რეალი დატოვოს.

ამის მიზეზი ის არის, რომ ხამესს არა აქვს რეალის ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი და ხშირად სათადარიგოთა სკამზე რჩება ხოლმე.

ხამესის შეძენა ბევრ კლუბს სურს, მათ შორის იტალიურ იუვენტუსს და რამდენიმე ინგლისურ გუნდს, რომლებსაც ლივერპულიც შეუერთდა.

ლივერპული მზად არის, ხამესში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც ლივერპულისთვის რეკორდული თანხა იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იანიკ ფერეირა კარასკო მადრიდის რეალთან ითამაშებს

დღეს, 2 მაისს ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს რეალი და ატლეტიკო დაუპირისპირდებიან.

პირველი მატჩი სანტიაგო ბერნაბეუზე შედგება.

ცნობილი გახდა, რომ ატლეტიკოს ბელგიელი შემტევი ნახევარმცველი იანიკ ფერეირა კარასკო ამ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებას შეძლებს.

კარასკოს ტრავმა აწუხებდა, რის გამოც მას ორ კვირაზე მეტი გაუცდა, თუმცა ახლა ბოლომდე გამოჯანმრთელდა და მზად არის სათამაშოდ.

რეალს გარეტ ბეილი დააკლდება, რომელსაც წელს მუდმივად ტრავმები აწუხებს. ბეილის გარდა, მადრიდელებს სხვა დანაკლისი არა აქვთ.

ფილიპ კოკუ შესაძლოა ბარსელონას მწვრთნელი გახდეს

მომავალ წელს ბარსელონას ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება, რადგან ლუის ენრიკემ განაცხადა, რომ ბარსელონაში მუშაობას აღარ აპირებს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ლუის ენრიკეს ადგილს და ბარსელონა რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს.

ერთ-ერთი მათგანი ჰოლანდიელი სპეციალისტი ფილიპ კოკუა, რომელიც ამჟამად პსვ-ს მთავარი მწვრთნელია.

კოკუ ბარსელონაში 6 წლის მანძილზე თამაშობდა და კატალონიური გუნდის მაისურით მან 291 შეხვედრა ჩაატარა.

ერთი კვირის წინ კოკუ ბარსელონას შეხვედრას დაესწრო ოსასუნასთან, რამაც ჟურნალისტებს კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო მისცა.

კოკუს ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 2. ქალაქი იმერეთში; 3. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 4. მდინარე ბერლინში; 5. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 7. დედამიწის მანათობელი; 11. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 15. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 16. ქართული ზღაპარი; 17. სატყორცნი სპორტული იარაღი მძლეოსნობაში; 18. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 20. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 22. მოკრივეთა, რაგბისტთა კბილების დამცავი რბილი პროთეზი.

თარაზულად: 6. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 8. ექიმის პროფესია; 9. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრი დასჯისთვის; 12. ტბა ბათუმში; 13. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 19. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 21. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 23. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ტერფზე ამოსაკრავი ალპინისტთა ლითონის კბილებიანი სამაგრი; 25. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა; 26. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა